



შირაკი

SHIRAKI

გაგონის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№ 20 (10.076)

10-17 ივნისი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გაგონება

სახელმწიფო დროშა აღიშენდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო დროშა ეროვნული ჰიმნის ფონზე აღიშენდა. დროშის აღმართვის ცერემონიაში მონაწილეობა კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ალადაშვილმა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მიიღეს.

„ქართულ დროშას უამრავი გმირი ჰყავს. ამ დროშის, ჩვენი დროის გმირი კი გიორგი ანუხელიძეა, რომელმაც თავისი დროშისთვის შეურაცხყოფის მიყენებაზე უარი განაცხადა და ამისთვის სიცოცხლე დათმო. ეს არის ძალიან ძლიერი მაგალითი იმისა, თუ რას ნიშნავს დროშა. დროშისადმი პატივისცემა, ეს გახლავთ ქვეყნისადმი, სახელმწიფოსადმი პატივისცემა და მისადმი თავდადება,“ – აღნიშნა ლონისძიებამ.



აღობისთვის შეჯამებთან

დედოფლისწყაროში თავთავიანი კულტურები შემოსვლას იწყებს. მუნიციპალიტეტში ალოობისთვის ემზადებიან. ამასთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძე, კახეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი სტუმრობდნენ. ისინი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ფერმერებს შეხვედნენ და ალოობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. ფერმერებმა ხორბლის რეალიზაციის საკითხში შექმნილ პრობლემებზე ისაუბრეს და ხელისუფლებისგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მოითხოვეს.

„სახელმწიფო, თავისი პოლიტიკის ფარგლებში, ხელს უწყობს მარცვლოვანი კულტურების წარმოებას. ბოლო წლებში ამ მიმართულებით მზარდი დინამიკა გვაქვს. გასულ წელს, 2020 წელთან შედარებით, 60%-ით გაიზარდა მარცვლოვანი კულტურების წარმოება. ვფიქრობთ, ეს პროცესი წელსაც შენარჩუნდება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც იმპორტირებულ ფქვილზე დამატებითი საფასურის დანესებას ითვალისწინებს. აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს

შეუწყობს ადგილობრივად წარმოებული ხორბლის კონკურენტუნარიანობის ზრდას“ - აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძემ.

შემდეგ კი აქცენტი გაკეთდა ალოობის სეზონის მოახლოებასა და მოსავლის ორგანიზებულად დაბინავებაზე.

„კახეთის რეგიონში მარცვლოვანი

კულტურების აღების პროცესი, ალოობა იწყება. სამუშაო შეხვედრაზე ვიმჯელებე ყველა იმ საკითხზე, რაც დაკავშირებულია ამ პროცესის შეუფერხებელ და წარმატებულ განხორციელებასთან. სახელმწიფო ყველა წინაპირობას ქმნის ხორბლის მოსავლის ორგანიზებულად დაბინავებისთვის, თუმცა, საყურადღებოა კლიმატური ფაქტორები. ტრადიციულად, სამინის-

ტროში შექმნილია საკოორდინაციო ჯგუფი, რომელშიც ჩართული არიან შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლები. მოსავლის შეუფერხებლად ასაღებად, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მიერ მობილიზებულია, დაახლოებით, 300 ერთეული მოსავლის ამღები ტექნიკა. ვფიქრობთ, რომ ერთობლივი, კოორდინირებული ძალისხმევით სეზონი წარმატებით ჩაივლის. მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მარცვლოვანი კულტურების წარმოება. ვფიქრობთ, ეს პროცესი წელსაც შენარჩუნდება“ - განაცხადა თენგიზ ნასარიძემ.

კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის, გიორგი ალადაშვილის განცხადებით, ყველა პირობა შექმნილი იმისათვის, რომ ალოობის სეზონი წარმატებით ჩატარდეს და ფერმერებს მოსავალი დაუბინავებელი არ დარჩეთ. მის პოზიციას იზიარებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, რომელიც წინა წლების გამოცდილებას იხსენებს და ამბობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა ფერმერებს ერთი მარცვლიც კი არ დარჩეთ დასაბინავებელი.

მომამზადა
ინგა შიოლაშვილმა



ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროს-მანის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია.



პროექტის მიმდინარეობას კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალბაძე აღნიშნავს და აღნიშნავს მუნიციპალიტეტის დედადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადგილზე გაეცნენ.

გზის ინფრასტრუქტურის მოწყობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება და მისი ჯამური ღირებულება 1 264 844 ლარს შეადგენს.

გურჯაანის მერმა თანამდებობა დატოვა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერმა თანამდებობა დატოვა. ამის შესახებ ზურაბ უტიანიშვილმა ინფორმაცია „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე თავად გამოაქვეყნა, თუმცა ნასვლის მიზეზი არ განუმარტავს.

„მინდა შეგატყობინო ჩემი გადაწყვეტილების შესახებ, პირადი განცხადების საფუძველზე დავტოვე გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობა.

პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავხადო ჩემს გუნდს და პირადად პრემიერ-მინისტრს, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს გამოცხადებული ნდობისთვის. ასევე, მადლობა მინდა გადავხადო მოსახლეობას არჩევნებში ჩემი მხარდაჭერისთვის, რის საფუძველზეც მომეცა შესაძლებლობა ამ პერიოდის განმავლობაში უამრავი სასიკეთო საქმე გამეკეთებინა. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავხადო ჩემს გუნდს - გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის თითოეულ თანამშრომელს დაულაღვი შრომისთვის, თანადგომისთვის და ერთობლივი, ნაყოფიერი მუშაობისთვის, მე მათ წარმატებებს ვუსურვებ!

მოკლედ მინდა შევაჯამო ის პროექტები, რაც ორი წლის განმავლობაში, ჩემი მერობის პერიოდში განხორციელდა მუნიციპალიტეტში. მუშაობდა, რომ სწორედ ჩემი მერობის პერიოდში გადაიჭრა მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშნვის საკითხი, რომელიც ჩემი ერთ-ერთი მთავარი წინასწარჩვენი დაპირება იყო. როგორც იცით, მუნიციპალური ტრანსპორტი გურჯაანში ათწლეულების განმავლობაში გაუქმებული იყო. ამ დროისთვის უკვე დასრულებულია კონსოლიდირებული ტენდერი და წლის ბოლომდე გურჯაანელებს 10 ახალი „ISUZU“-ს მარკის 21 ავტომობილი მიეწოდება. ასევე, მინდა გამოვყო სა-

ქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიბაშვილის ინიციატივით განხორციელებული პროექტი „განახლებული რეგიონები“, რომლის ფარგლებშიც ქალაქ გურჯაანში, ნონეშვილის ქუჩამ თანამედროვე იერსახე მიიღო, რომელიც თითოეული გურჯაანელის განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც წინასწარჩვენი შეხვედრების დროს გურჯაანელ ახალგაზრდებთან საუბრისას გამოიკვეთა, არის სკვერებისა და სპორტული მოედნების საჭიროება. სწორედ ამიტომ, ჩემი მერობის პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 25-ზე მეტი საბავშვო მოედანი და სავარჯიშო სივრცე მოეწყო. აქვე მინდა გავაცნოთ ახალი პროექტი - ქალაქ გურჯაანში მულტიფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა, რომელიც 2024 წელს დასრულდება. საჭიდაო მრავალფუნქციური სპორტკომპლექსი, 150 მაყურებლიან ტრიბუნას მოიცავს, სადაც შესაძლებელი იქნება ყველა დონის სპორტული ტურნირის ჩატარება. ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ მნიშვნელოვანი პროექტების, რომლის განხორციელებაც ყველამ ერთობლივად შევქელით. მუნიციპალიტეტის მშენებლობა და მოქალაქეებზე ზრუნვა კვლავაც გაგრძელდება. ვუბრუნდები ჯანდაცვის სფეროს, სადაც „ქართული ოცნების“ გუნდთან ერთად გავაგრძელებ საქმიანობას ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეების სამსახურში. ჩემს მშობლიურ მუნიციპალიტეტს - გურჯაანს, განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩემს ცხოვრებაში და რასაკვირველია, ვრჩები გურჯაანისა და გურჯაანელების მხურვალე გულშემატკივრად“, - წერს ზურაბ უტიანიშვილი.

გურჯაანის მერის მოვალეობას, მერის მოადგილე ლერი გელენავა შეასრულებს.

კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის გაძლიერებისთვის ახალი პროექტი იწყება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) ერთად, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) მხარდაჭერით, ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს. პროექტის წარდგენას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდლაშვილი და FAO-ს წარმომადგენელი საქართველოში რაიმუნდ იელე ესწრებოდნენ.

„სოფლიო ნათალად ხედავს, რომ კლიმატის ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე, მათ შორის, სოფლის მეურნეობაზე. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც საქართველოა. შესაბამისად, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჩამოყალიბდეს ისეთი კონკრეტული ხედვები, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის სექტორი გახდეს უფრო მეტად კლიმატგონივრული და კლიმატთან ადაპტაციის ღონისძიებები დაიგეგმოს და განხორციელდეს ევროკავშირის საერთაშორისო დონეზე მიღებული პრაქტიკის შესაბამისად. ჩვენ მზად ვართ შევიტანოთ გარკვეული ცვლილებები არსებულ სახელმწიფო პროგრამებში, და ვინერგოთ ისეთი დამატებითი მექანიზმები, რაც ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სექტორის ადაპტაციის შესაძლებლობებს გაზრდის და აღნიშნული სექტორიდან ჰაერში მავნე გაფრქვევებს მინიმუმამდე შეამცირებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როდესაც საქართველო ევროინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს“, - აღნიშნა ნინო თანდლაშვილი.

როგორც პროექტის პრეზენტაციაზე აღინიშნა, მომდევნო 2 წლის განმავლობაში, პროგრამის ფარგლებში, FAO-ს მიერ ჩატარდება სიღრმისეული და დეტალური შეფასება, რაც საქართველოს საშუალებას მისცემს განისაზღვროს მკაფიო ხედვა და

მომზადდეს ზუსტი სამოქმედო გეგმა, რათა სოფლის მეურნეობის სექტორში დაიგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები, რომელიც ერთი მხრივ, მიმართული იქნება კლიმატის ცვლილებების პროცესებთან ადაპტაციის მიმართულებით, ხოლო მეორე მხრივ, სასოფლო-სამეურნეო სექტორიდან ემისიების შემცირებას შეუწყობს ხელს.

„საქართველოში პროგრამების განხორციელების თითქმის 20-წლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიგვაჩნია, რომ საქართველოს აგროსასურსათო სისტემაში კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობისა და ემისიების დემონსტრირებით მდგრადი განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. ერთობლივი ძალისხმევითა და FAO-სა და პარტნიორების საუკეთესო გამოცდილებების გაერთიანებით, შეგვიძლია აგროსასურსათო სისტემების ტრანსფორმირება, რომლებიც საქართველოს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლისათვის ალტერნატიული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებასა და ქვეყნის მდგრადი მომავლის განვითარებას დაეხმარება“, - განაცხადა FAO-ს წარმომადგენელმა საქართველოში, რაიმუნდ იელემ.

პროექტი „სტრატეგიული მზაობა საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განსახორციელებლად და კლიმატის მდგრადობის მისაღწევად: სოფლის მეურნეობის სექტორის ტრანსფორმაცია დაბალემისიანი და კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი მიდგომებით“ დაფინანსებულია კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) მზაობის პროგრამის ფარგლებში და განხორციელდება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ.

პროექტის წარდგენას ესწრებოდნენ სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგროსასურსათო სექტორის ექსპერტები და სპეციალისტები.

გერმანიაში ირაკლი ლარიბაშვილის სამუშაო

ვიზიტი დაიწყო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი სამუშაო ვიზიტით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაემგზავრა. ამის შესახებ ინფორმაციას პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, ვილი ბრანდტის სახელობის ბერლინ-ბრანდენბურგის სამხედრო აეროპორტში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილის დახვდრის ცერემონია გაიმართა.

მთავრობის მეთაური სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გერმანიის ფედერალურ კანცლერთან, ოლაფ შოლცთან პირისპირ შეხვედრას ბერლინში გამართავს.

„ყველა ხვდება, რომ საქართველო კვლავ ლიდერია და იმსახურებს კანდიდატის სტატუსს“

„გვაქვს მოლოდინი, რომ საფრანგეთის მხრიდან პოზიტიური დამოკიდებულება იქნება, როდესაც საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი დადგება. ყველა ხვდება, რომ საქართველო კვლავ ლიდერია უკრაინასა და მოლდოვასთან შედარებით და იმსახურებს, რომ ის წყვეტა, რაც მოხდა ასოციირებულ „ტრიოს“ შორის, როცა ცალკე მიენიჭათ კანდიდატის სტატუსი მოლდოვას და უკრაინას, უნდა აღმოიფხვრას“, - ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა საფრანგეთში ვიზიტის შეჯამებისას განაცხადა.

როგორც შალვა პაპუაშვილმა აღნიშნა, შარშან ივნისში მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ყველას აქვს შეგრძნება, რომ ეს ბოლომდე სამართლიანი გადაწყვეტილება არ იყო.

„საფრანგეთში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი გამორჩეულად პროდუქტიული იყო. გარდა იმისა, რომ ჩვენ გვქონდა შეხვედრები ფრანგ კოლეგებთან, ეროვნული ასამბლეისა და კომიტეტების თავმჯდომარეებთან, ასევე სენატის თავმჯდომარესთან და კომიტეტების წარმომადგენლებთან, მეგობრობის ჯგუფთან, შესაძლებლობა გვქონდა, რომ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში ორსაათიანი დისკუსია გაგვემართა უსაფრთხოების საკითხებზე და საქართველოს ეროვნულ პერსპექტივაზე.

სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში დამატებითი შეხვედრებიც კი ჩაინიშნა, რადგან გამოჩნდა, რამდენად საქმიანი და პროდუქტიულია, როცა ჩვენს კოლეგებთან ერთად კონკრეტულ საკითხებზე ვსაუბრობთ. საერთო განწყობა ძალიან პოზიტიურია. ჩვენ პირდაპირ გვითხრეს, რომ ახლა საფრანგეთი სხვანაირად უყურებს გაფართოების პოლიტიკას. ამ მხრივ არის უფრო გახსნილი და აქტიური. ამიტომ მოლოდინი გვაქვს, რომ საფრანგე-

ტექნიკური ხარვეზის გამო საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112 ალტერნატიულ ნომრებს აქვეყნებს

ტექნიკური ხარვეზის გამო საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ მასთან დასაკავშირებელ ალტერნატიულ ნომრებს აქვეყნებს.

როგორც ცენტრის განცხადებაშია აღნიშნული, ტექნიკური ჯგუფი პრობლემის აღმოსაფხვრელად მუშაობს და ხარვეზი უმოკლეს დროში გამოსწორდება.

რძისგან ბიო-საწვავის დამზადებას დაიწყებენ

მანქანებისთვის ახალი ბიოსანვავი რძისგან შემუშავდება. Autonews იტყობინება, რომ მიჩიგანის ფერმერებმა გააფორმეს შეთანხმება კანადურ დისტილერისა და Dairy Distillery, რომლის მიხედვითაც სპეციალისტები შექმნიან ეთანოლს რძის ნაჟღენთისგან, ქვეპროდუქტი, რომელიც რჩება რძის გაფილტვრის შემდეგ. ახალი ბიოსანვავის გამოყენება იგეგმება მანქანებისა და სატვირთოების საწვავად.

რძის ნაჟღენთი არის ლაქტოზის (რძის შაქრის), ვიტამინებისა და მინერალების ნარევი. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას დაბალი ალკოჰოლური სასმელების და-

12 ივნისიდან ფაშვილი 200-ლარიანი

საქართველოში ფქვილის იმპორტზე დროებით საიმპორტო საფასური დაწესდება. მთავრობის დადგენილება უკვე გამოქვეყნდა.

როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ცვლილება ძალაში 12 ივნისიდან შევა და 1-ელ ნომრამდე იმოქმედებს.

რაც შეეხება საფასურს, დადგენილების თანახმად, 200 კგ-ზე ზევით ყოველ 1 კგ-ზე - 20 თეთრი იქნება, რაც

თის მხრიდან იქნება პოზიტიური დამოკიდებულება, როდესაც საკითხი დადგება საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, აქაც ვიგრძენით ის, რომ შარშან ივნისში მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ყველას აქვს შეგრძნება, რომ ეს არ იყო ბოლომდე სამართლიანი გადაწყვეტილება. ყველა ხვდება, რომ საქართველო კვლავ ლიდერია უკრაინასთან და მოლდოვასთან შედარებით და საქართველო იმსახურებს, რომ ის წყვეტა, რაც მოხდა ასოციირებულ ტრიოს შორის, როცა ცალკე მიენიჭათ კანდიდატის სტატუსი მოლდოვას და უკრაინას, უნდა აღმოიფხვრას და საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ერთ დონეზე უნდა დადგნენ“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

მისივე თქმით, ევროპარლამენტის გუშინდელმა დისკუსიამ გვაჩვენა, რომ არიან ჯგუფები, რომელთაც საქართველოს მიმართ ზედაპირული დამოკიდებულება აქვთ.

„ევროპარლამენტის გუშინდელმა დისკუსიამაც გვაჩვენა, რომ სამწუხაროდ, ხანდახან, არიან ჯგუფები, რომელთაც საქართველოს მიმართ ზედაპირული დამოკიდებულება აქვთ ისე, რომ საკითხები სიღრმისეულად არ იცნან და საქართველოს მდგომარეობას „შედლაინების“ დონეზე აანალიზებენ და შემდეგ შესაძლოა, გადაწყვეტილებას იღებენ. რამდენი შეხვედრა გაიმართა სხვადასხვა დედაქალაქში, მათ შორის ჩემი კოლეგებიც მართავენ შეხვედრებს, თავად ის ფაქტი, რომ კითხვაზე - რატომ არ მიენიჭა შარშან კანდიდატის სტატუსი - ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს, იმაზე მეტყველებს, რომ ივნისის გადაწყვეტილება დაფუძნებული არ იყო ობიექტურ კრიტერიუმებზე“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

„ტექნიკური ხარვეზის გამო 112-ში ზარები შეფერხებით შემოდის. თუ გჭირდებათ გადაუდებელი დახმარება და 112-ზე ვერ გვიკავშირდებით, დარეკეთ ალტერნატიულ ნომრებზე: 599842206; 598087761; 577011139; 577011174; 591544384; 591946840; 591946870; 591544375;

სამზადებლად, როგორცაა Vodkow, და ასევე შეიძლება გამოხდეს იქნას უფრო ძლიერ დაბალნახშირბადიან ეთილის სპირტში. ამერიკელმა და კანადელმა ექსპერტებმა გადაწყვიტეს ის გამოყენებინათ, როგორც ბიოსანვავის საფუძველი.

სპეციალისტები ერთად აპირებენ რძის გადამამუშავებელი ქარხნის აშენებას, რომლის ფართობი დაახლოებით ცხრა კვადრატული კილომეტრია. ობიექტში რძის ალკოჰოლს ეთანოლად გადაამუშავებენ. წინასწარი შეფასებით, ქარხანა ყოველწლიურად 2,2 მილიონი გალონი ბიოსანვავის წარმოებას შეძლებს.

საიმპორტო საფასური დაწესდება

ტონაზე 200 ლარი გამოდის. სწორედ აღნიშნული საფასური იყო დაანონსებული ბიზნესის თუ მენარმეების მხრიდანაც.

ამასთან, პურის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი, მალხაზ დოლიძე აცხადებდა, რომ ტონაზე 200 ლარის დაწესების შემთხვევაში, სოციალურ პურზე ფასის ზრდა არ მოხდება.

ანსამბლი „მანდილი“ მსმენელის წინაშე წარსდება

„შინაგან სამყაროს გადმოცემა ბევრ რეზონანსს, ყოველგვარ სხვა საშუალებათა დახმარების გარეშე, მუსიკის უდიდესი და უძვირფასესი თვისებაა“ – გოეთე.

„ყოველდღე უნდა მოისმინო თუნდაც ერთი სიმღერა, შეყვლი კარგ სურათს, წაიკითხო ერთი ბრძანული ანთი მანც“ – გოეთე.

„მუსიკის გარეშე ცხოვრება, უბრალოდ შეცდომა იქნებოდა“ – ნიჭი.

ძნელია ამ გენიოსებს არ დაეთანხმო. რა იქნებოდა ცხოვრება მუსიკის გარეშე? იანვანა, რომანტიული სერენადები, სასიამოვნო



მოვრო სიმფონიები და ტკბილი ჰანგები... ვფიქრობ, ყველანი შევთანხმდებით, რომ მუსიკის გარეშე ცხოვრება ძალზედ მოსაწყობი და უდიდესი იქნებოდა. მუსიკა მართლაც საოცრად მოქმედებს ჩვენს ემოციებზე. იგი გვაძლავს, ალგავართოვანებს, განწყობას გვიმალვებს, შთაგონების წყაროდ გვექცევა და შესაძლოა თვალზე ცრემლიც კი მოგვგვაროს.

სწორედ ასეთი საღამო არაა 6 ივნისს, ხელოვნების სკოლაში, ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მანდილი“ და მოსამზადებელი ჯგუფის აღსაზრდელებმა შეკრებულ საზოგადოებას, როდესაც საან-

გარიშო კონცერტით წარდგენ მრავალრიცხოვანი მსმენელის წინაშე (ხელმძღვანელი დალი ელისაშვილი, კონცერტმეისტერი ესმა ჭყონია). მათ საკუთარი რეპერტუარიდან 18 სიმღერა შეასრულეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მომავალ წელს ანსამბლს დაარსებიდან 15 წელი უსრულდება.

განსაკუთრებული მონონება და მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა სოლისტმა მარიამ ჯანაშვილმა. გარდა ამისა, ემოციური აღმოჩნდა, ამავე ანსამბლის წევრის ლილე ჯამასპიშვილის გამოსვლა მსმენელის წინაშე. ლილე ჯამასპიშვილმა მუსიკალური სკოლის სრული კურსი დაამთავრა და ანსამბლს დაემშვიდობა. ლილეს, ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ხელმძღვანელმა ცარო მარტაშვილმა, გოგონათა ფოლკლორულ ანსამბლში წლების განმავლობაში მოღვაწეობისათვის და კულტურულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობისათვის მადლობის სიგელი და სამაგისტრო საჩუქარი გადასცა.

შენი უდიდესი ღონისძიებები მუსიკას „კაცობრიობის საუკეთესო ენა“ უწოდებდა. მადლობას ვუხდით ანსამბლ „მანდილს“ ჩვენთან ამ ენაზე საუბრისთვის, იმისთვის, რომ ჩვენი „სიტყვები დამთავრდა იქ, სა-



დაც დაიწყო თქვენი მუსიკა“. მადლობა თითოეულ წევრს და მის ხელმძღვანელს დალი ელისაშვილს განუვლი შრომისთვის და ლამაზი საღამოსათვის. მადლობა იმ „ჯადოსნური“ გასაღებისთვის, რომელიც მასთან ახლოს მყოფ ყველა გულს ალბს“.

შუშუნა ყანაშვილი
ინგა შიოლაშვილი

მუსიკა, როგორც დღესასწაული

საფორტეპიანო მუსიკის თაყვანისმცემლები, როგორც დღესასწაულზე, ისე მიუშვებოდნენ თამილა ნადირაშვილის კონცერტებზე. იგი ბუნებით მუსიკოსია, რომელიც უზღვი ფერებით ძერწავს ქართული და უცხოელი კომპოზიტორების მუსიკალურ შედევრებს.

ორ ივნისს დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის დარბაზში გაიმართა **თამილა ნადირაშვილის** კლასის კონცერტი. ქალბატონმა თამილამ, კარგა ხანია მიაღწია შემოქმედისათვის უმთავრეს-საყოველთაო აღიარებას და მსმენელთა სიყვარულს. მის შემოქმედებას, კარგად იცნობს არა მარტო ჩვენი რაიონის მუსიკის თაყვანისმცემელი, არამედ თბილისელი მსმენელებიც.

თამილა ნადირაშვილი თვითმყოფადი შემოქმედია, მისი უდიდესი შესრულება არასოდეს ყოფილა სტერეოტიპული. მას, სამყაროს საკუთარი აქვს აქვს, სხვისგან გამორჩეული და ამიტომაც არის მისი მოსმენა საინტერესო. მისი პიროვნება გამსჭვალულია გულახდილობით, სითბოთი. საკმარისია მასთან ან მის გარშემო მოხედეთ, რომ უმაღლესი შიგრიდებით ინტელექტს და მაღალ კულტურას. იგი არა მარტო საოცარი მუსიკოსია, არამედ ბრწყინვალე დიასახლისი და ყურადღებიანი დედა.

თამილა ნადირაშვილს ახასიათებს მაღალი პროფესიული დონე, ინტელექტუალობა, მუსიკაში ღრმა წვდომა, საქმისადმი

ერთგული დამოკიდებულება, შრომისმოყვარეობა. იგი მოსწავლეებთან საკმაოდ მომთხოვნია, ბოლომდე იხარჯება და შეუძლია ბავშვებშიც ბოლომდე გამოავლინოს მუსიკალური უნარი და შესაძლებლობა, რადგანაც კარგად იცის, რომ ნიჭი შრომის გარეშე არასდროს გაბრწყინდება.

ქალბატონმა თამილამ დედოფლისწყაროს სამუსიკო სკოლას მრავალი წარჩინებული მოსწავლე გაუზარდა. ბევრმა მათგანმა მომავალ პროფესიად მუსიკა აირჩია. განსაკუთრებით მინდა გამოვყავ ნინო ხუციშვილი, რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატი და პირველი მსოფლიო საცმანვილო დელფიური მოძრაობის დიპლომანტი, ასევე მალვინა ისმაილოვა ი.ს. ბახის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი და მესამე პრემიის მფლობელი. 1997 წლიდან 2002 წლამდე თამილა ნადირაშვილი პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის მ. ფალაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.



დღესაც კარგად ახსოვთ რაიონის მუსიკის მოყვარულებს, თამილა ნადირაშვილის ბენეფისი, რომელიც რაიონის პროფკავშირების საკოორდინაციო საბჭოს მორჩილი თავმჯდომარის, ნანა ჭიჭინაძის ორგანიზებით გაიმართა. ასევე ჩატარებული აქვს არაერთი კონცერტი.

2 ივნისის კონცერტს წინ უძღოდა 31 მაისს თბილისში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიება, სადაც წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრის, ქალბატონი თამილას შეილის, ნინო ჭაბაძე-შვილის პირველი პერსონალური გამოფენა და მისი მე-7 კლასელი მოწაფის, თეკლა ნიკლაურის კონცერტი. ეს იყო ხელოვნების ზეიმი. დამსწრე საზოგადოება ვერ ფარავდა აღფრთოვანებას, როგორც ნახატების ნახვით, ისე კლასიკური მუსიკის კონცერტით, სადაც შესრულებული იყო ი.ს. ბახის, ლ. ვ. ბეთოვენის, ფ. შოპენის, ფ. ლისტის, ი. ბრამსის, ო. პიტერბოის, ფ. პიაცოლას, ვ. აზარაშვილის და დ. ტურიაშვილის ნაწარმოებები. ამის შემდეგ უკვე ორ ივნისს,

დედოფლისწყაროში გაიმართა თამილა ნადირაშვილის კლასის კონცერტი. ეს იყო პედაგოგისა და მოსწავლეების მიერ, მთელი წლის განმავლობაში განუვლი შრომის ერთგვარი შეჯამება.

შესანიშნავად წარსდგნენ მსმენელის წინაშე პირველი კლასის მოსწავლეები - ანდრია და მარიამ გოგილაშვილები, მეორე კლასის მოსწავლე - თეკლა გაბიდაური და მესამე კლასის მოსწავლე - თეკლა ნიკლაური. სასიამოვნო ემოციებმა დაიპყრო დარბაზი. განსაკუთრებით აღსანიშნავია თეკლა ნიკლაური, რომელიც 7 წელია თამილა ნადირაშვილის მოსწავლეა. სწორედ მოსწავლე-მასწავლებლის თავდაუზოგავი შრომის შედეგი წარმოჩინდა ამ კონცერტზე.

სწორედ ქალბატონი თამილას დამსახურებაა, რომ თეკლას, შესრულების მაღალი ტექნიკა და დახვეწილი გემოვნება აქვს. 2019 წელს თეკლაში, შალვა დავითაშვილის სახელობის მუსიკოსთა კონკურსში, წარმატებული მონაწილეობისათვის, თეკლას გადაეცა დიპლომი. მიუხედავად შესანიშნავი მუსიკალური მონაცემებისა, იგი არ აპირებს გახდეს პროფესიონალი მუსიკოსი.

კონცერტის დასასრულს არ წყდებოდა აპლოდისმენტები. პედაგოგმა თამილა ნადირაშვილმა თავის მოსწავლეებს გადასცა სიტყვები და დიდი წარმატებები უსურვა შემდეგობით გზაზე.

ანგანიდან-სოფლის მხვერვალები

დღეს ბევრს საუბრობენ განათლების სისტემაში არსებულ ნაკლოვანებებზე, ბავშვების წიგნთან დაშორებასა და მათი განათლების დაბალ დონეზე. ყველა პედაგოგები, მშობლები და საზოგადოება თანხმდება, რომ საქაროა განათლების სისტემის მოდერნიზება, რომელიც უზრუნველყოფს მკოდნე მომავალი თაობის აღზრდას, ინტერესის გაღვივებას ცოდნის მიღებისკენ და წვდომას.

როგორ უნდა განხორციელდეს ეს?
როგორც განათლების სფეროს ექსპერტები ამბობენ, განათლების მოდერნიზაცია გულისხმობს ფოკუსირებას როგორც მოსწავლეების ცოდნის მიღებაზე, ასევე ინდივიდის შემეცნებითი და შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებაზე. მნიშვნელოვან პრობლემად რჩება მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობა, სწავლისადმი მათი ინტერესის განვითარება.

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესში გამოიყენება მრავალი განსხვავებული სწავლების მეთოდი, რომლის მიზანია თითოეული ბავშვის შემოქმედებითი ინტერესებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, განვითარება, ზრდა, მისი დამოუკიდებელი პროდუქტიული სასწავლო

საქმიანობის სტიმულირება.

სწორედ ამ მიდგომებით გამოირჩევა ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დანყებითი კლასების მასწავლებელი **ლელა ჯანაშვილი**, რომელიც მუდმივად სიახლის ძიებაშია, რათა ბავშვებმა მეტი ცოდნის მიღება შეძლონ. მისმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს ინსცენირება სათაურით „იაკობმა მისცა ფრთები ქართველს ცაში ასაფრენად“, რომლითაც იაკობ გოგებაშვილის „დედაქანს“ მადლობა გადაუხადეს, მაგრამ არ დაემშვიდობნენ ანბანს, რადგან მათი პედაგოგი მიიჩნევს, რომ „ანბანს არასოდეს ემშვიდობებიან, ის თითოეულ ქართველთან რჩება მთელი ცხოვრების მანძილზე“.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქართული ანბანი, პატრიოტული ლექსები და თითოეულ ასოსთან დაკავშირებული უამრავი სიტყვა, რომელიც ბავშვებმა მასწავლებლის დახმარებით თავად მოიძიეს და გაიმდიდრეს ლექსიკური მარაგი. ზეიმზე იყო ლექსიც და სიმღერაც, პატარებმა ამით პატივი მიაგეს ქართულ ანბანს, მადლობა გადაუხადეს თავიანთ პედაგოგს და მეორე კლასში გადასასვლელი „ვიზაც მოიპოვეს“.

ღონისძიებაზე ითქვა მრავალი სამადლობელი სიტყვა მასწავლებლისადმი, სკოლის დირექციისადმი, მშობლებისადმი... ლელა ჯანაშვილმა მადლობის სიტყვები გადასცა მოსწავლეებს-ბავშვთა სწავლისა და მონაწილეობისთვის, მშობლებსა და ბებიებს-გვერდში დგომისათვის, რომლებიც თავიანთი შევლებთან და შეილიშვილებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულნი სწავლის პროცესში.

ნაყოფიერი და წარმატებული საქმიანობისათვის სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ ქეთულაურმა დირექციის სახელით მადლობის სიტყვები გადასცა ლელა ჯანაშვილს.

მანამდე კი იყო პროექტი, რომელმაც კიდევ უფრო გაზარდა ბავშვების აქტივობა სწავლების პროცესში. სწავლის დაწყებიდან მოკლე ხანში ლელა ჯანაშვილმა გადამწყობა, ახალი პროექტი შეეთავაზებინა მოსწავლეებისათვის, რომელიც ანბანის სწავლას გაცილებით საინტერესოს გახდიდა და ბავშვებსაც გაათავისუფლებდა ტრადიციული, დამტკბამული მიდგომისგან. პროექტის სათაური იყო „ჩემი ილუსტრირებული ანბანი“, რომლის ფარგლებშიც ბავშვებმა თავიანთი ხელით შექმნეს დედაქანს. პროექტის მიმდინარეობისას მოსწავლეებმა 8 თვის მანძილზე 33-ზე ასო შეისწავლეს და საკუთარი ხელით შეავსეს ფურცლებზე დაწერილი ცარიელი უჯრები, რომლებიც სწავლის დაწყებისას მრავლად იყო და რომლებიც ეტაპობრივად მცირდებოდა ბავშვების ცოდნის გაზრდის ხარჯზე. ბოლოს მათ თავად მოუვიდათ იდეა, რომ ანბანისთვის საკუთარი სახელები მიესადაგებინათ. ასე გაჩნდა „ბარბარეს ანბანი“, „ლუკას ანბანი“ და ა.შ.

„ამ პროგრამით არა მარტო საინტერესო და სახალისო გახდა სწავლების პროცესი, არამედ წიგნიერების, კითხვის სურვილი გაუჩნდათ და ჩამოუყალიბდათ შემოქმედებითი უნარები, რის შედეგადაც საბავშვო უნარ-ჩვევების დონეზე დაუფლენენ სწრაფ და კრიტიკულ აზროვნებას, ინსტრუქციულ ტექსტების სიღრმისეული გაგება და ანალიზი, ენობრივ სინტაქსურ კონსტრუქციებს ყველა სრულად იცავდა“-ამბობს გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ლელა ჯანაშვილი.

როგორ გაჩნდა პროექტის იდეა?

ინგა შიოლაშვილი



მედალოსნების ფიქრები და გეგმები

ნელს დედოფლისწყაროში სკოლა 222-მა მეთორმეტეკლასელ-მა დაამთავრა, აქედან 29 ოქროს მედალოსანია. გაზეთი „შირაქი“ შეეცადა სხვადასხვა საკითხზე და სამომავლო გეგმებზე დედოფლისწყაროელი ოქროს მედალოსნების მოსაზრებები მოესმინა და რამდენიმე მათგანს გაესაუბრა:



ნიკა ავციანური

– პროფესიული არჩევანი ალბათ, უკვე გაკეთებული გაქვთ, ზოგადად, რომელი პროფესიები მოგწონთ?

ნიკა ავციანური (ზემო ქედის №2 სკოლა): „დღევანდელი აქტიუალური პროფესიებიდან გამოვარჩევდი კომპიუტერულ მეცნიერებას, რადგან მიმაჩნია, რომ მომავლის პროფესიაა და ყველაზე მეტი პოტენციალი გააჩნია. ამიტომ, ამ მიმართულებით ვაპირებ სწავლის გაგრძელებას“.

ნიმეო ქაპითარაძე (არხილოსკალოს სკოლა): „არის რამდენიმე პროფესია, რომლებიც მომწონს, მაგრამ საბოლოოდ ავირჩიე საჯარო მმართველობა და პოლიტიკა. ამ კუთხით განვითარებას ვაპირებ. დიდი ხანია დაინტერესებული ვარ იმ სოციალური სფეროებით, რომლებიც სახელმწიფო მმართველობის ფუნდამენტს წარმოადგენს, ზუსტად ამ ყველაფერს მოიცავს ჩემ მიერ არჩეული პროფესია“.

ნიკოლოზ ყორიაშვილი (სამრეკლოს სკოლა): „საკმაოდ ბევრი პროფესია არსებობს დღესდღეობით, მაგრამ, მე არჩევანი სამედიცინოზე გავაკეთე. ჩემი აზრით, ადამიანის ცხოვრება სრულფასოვანი ვერ იქნება ჯანმრთელობის გარეშე. ბედნიერია ჯანმრთელი ადამიანი, შესაბამისად დიდი პატივია ნებისმიერისთვის, ვინც ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურება. ჩემი სურვილი არის შევუერთდე ექიმების იმ არმიას, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგანან. ბევრ განხრახზე ვფიქრობ, მაგრამ ამჟამად ჩემს თავს ზოგად ქირურგიაში ვეხდავ. ჩემი ოცნებაა რაც შეიძლება ბევრ ადამიანს დავეხმარო და სიამაყით ავაგოს როგორც ჩემი ოჯახი, ასევე ჩემი თანასოფელები“.

გიორგი ცაბაურაშვილი (ქვემო ქედის სკოლა): „ბიზნესის ადმინისტრირებაზე ვაბარებ, ზოგადად მიზიდავს ეს საქმიანობა და ვფიქრობ, რომ ამ პროფესიის შესწავლა მომავალშიც დამეხმარება ვიყო წარმატებული. ჩემს თავს ამ სფეროში ვხედავ“.

– რამდენად ახერხებს სკოლა, მოსწავლეს მისცეს სათანადო ხარისხის განათლება?

ნიკა ავციანური: „რაც შეეხება სკოლას, იქ მიღებული ცოდნა კარგია, ზოგადი წარმოდგენა გექმნება ყველაფერზე და იმყარებ საფუძველს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემს მომავალ პროფესიასთან ნაკლებად არის კავშირი. ჩემი აზრით, სწავლის ხარისხი და ცოდნის სწორად გადაცემის გზები მნიშვნელოვანია. მთელი ჩემი თაობის ნაცვლად მე ვერ ვისაუბრებ, რადგან ყველას აზრი განსხვავებულია. თუმცა, პირადად მე ვფიქრობ, რომ სკოლა ის არ არის რაც უნდა იყოს“.

ნიმეო ქაპითარაძე: „ვფიქრობ, სკოლა საკმარის განათლებას აძლევს მოსწავლეებს იმისათვის, რომ წარმატებულად იყვნენ, რა თქმა უნდა, წარმატებას მხოლოდ სკოლაში მიღებული განათლება არ განსაზღვრავს,

თუმცა ფუნდამენტს უყრის მოზარდის კარიერულ განვითარებას და მის პიროვნულ ჩამოყალიბებას. აღსანიშნავია, რომ სკოლის, მასწავლებლის აქტიურობა არ არის საკმარისი ამ ყველაფრისთვის, მთავარია მოსწავლემ მოინდომოს და ფეხი აუწყოს სკოლის რუტინულ, თუმცა საინტერესო ცხოვრებას“.

ნიკოლოზ ყორიაშვილი: „თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა, ჩემი აზრით, კვლავ ძიების პროცესშია. სასკოლო ცხოვრებასაც აქვს თავისი უარყოფითი და დადებითი მხარეები. მაგრამ მიუხედავად ამისა, ნებისმიერ მოსწავლეს, თუ იგი მონდომებული, მიზანდასახული და შრომისმოყვარეა, შეუძლია წარმატებას მიაღწიოს, როგორც სკოლაში, ისე უმაღლესში სწავლასა და პროფესიულ განვითარებაში“.

გიორგი ცაბაურაშვილი: „კმაყოფილი ვარ განათლების სისტემით. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ სკოლაში მიღებული ცოდნა უზრუნველყოფს მომავალში ბავშვის წარმატებას“.



გიორგი ცაბაურაშვილი

რაც შეეხება ჩემს სკოლას, ნამდვილად კარგი და დასაფასებელი პედაგოგიკური გეგმაც, რომლებიც თანამედროვე მიდგომებით გამოირჩევიან და ყველაწარმომადგენელს, რომ ქვეყნისთვის საამაყო მომავალი თაობა აღზარდოს“.

– არის თუ არა სხვაობა დედაქალაქისა და სოფლების სკოლებს შორის?

ნიკა ავციანური: „საერთოდ არაფრით განსხვავდება, პირიქით მიმაჩნია, რომ სოფლის სკოლებში ბევრად ხარისხიანია განათლება, რადგან როგორც ვიცით, დედაქალაქის სკოლებში უფრო მეტი მოსწავლეა, ვიდრე სოფლის სკოლებში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ცალ-ცალკე მოსწავლისთვის ბევრად მეტი ცოდნის მიცემა შეიძლება გაკვეთილისთვის განკუთვნილ დროში და ეს სოფლის მცირერიცხოვან კლასებში უკეთესად ხერხდება“.

ნიმეო ქაპითარაძე: „ვფიქრობ, სოფლის სკოლებში ბევრად მაღალია განათლების ხარისხი, რადგან მცირეა მოსწავლეთა რაოდენობა, აქედან გამომდინარე, შედარებით უკეთესია საგაკვეთილო პროცესის ხარისხი, მოსწავლეს ბევრად მეტი დრო ეთმობა მასწავლებლის მხრიდან და უფრო აქტიურადაა ჩართული საგაკვეთილო დისკუსიებში და თუ მსჯელობებში“.

ნიკოლოზ ყორიაშვილი: „განათლების მხრივ, ვფიქრობ განსხვავება დიდი არაა. სოფელში მცხოვრებ მოსწავლესაც შეუძლია მიიღოს სრულფასოვანი განათლება. მთავარია მონდომება და დაუღალავი შრომა“.

გიორგი ცაბაურაშვილი: „ჩემი აზრით, არაქვს მნიშვნელობა, ბავშვი ქალაქში სწავლობს, თუ სოფელში. მთავარია, ბავშვის პიროვნული დამოკიდებულება სწავლისადმი და ამავდროულად მნიშვნელოვანია მშობლების ჩართულობა“.


– რა არის ახალი თაობის პლუს-მინუსები, რა დადებითი და უარყოფითი მხარეებს ხედავთ?

ნიკა ავციანური: „ჩვენი თაობის უდიდესი პლუსია თანამედროვე ტექნოლოგიების სწორად გამოყენება. უფრო ფართო სპექტრით თუ განვიხილავთ, ჩვენს თაობაში ნაკლებადაა სტერეოტიპული აზროვნება, რაც ჩემი აზრით, ყველაზე მთავარია. მინუსების შემთხვევაში არაფერი მახსენდება“.

ნიმეო ქაპითარაძე: „ვფიქრობ, მრავალმხრივ განვითარებული და ძლიერი თაობა ვართ, ერთ-ერთი პლუსი ჩვენი თაობის ისაა, რომ თამამად შეგვიძლია საკუთარი აზრის საჯაროდ დაფიქსირება და არ გვაშინებს კრიტიკა და ის, თუ რას იტყვის ხალხი. მიუხედავად ამისა, დავასახელო ზედმეტი დაუფერებლობა. დავდაჯერებულობა აუცილებელია, მაგრამ თინიჯერები ზოგჯერ ზედმეტად დარწმუნებულები ვართ საკუთარ პოზიციასა და მოსაზრებაში, რასაც ყოველთვის დადებით შედეგამდე ვერ მივყავართ. საერთო ჯამში ძლიერი, თამამი და საინტერესო თაობა ვართ, ჩვენი მრავალფეროვანი შეხედულებებითა და ინტერესებით“.

ნიკოლოზ ყორიაშვილი: „ჩემი თაობის ერთ-ერთ მინუსად ვთვლი ტექნოლოგიების გავლენას... ახალგაზრდები იმდენად არიან ჩართულები ონლაინ სივრცეში, რომ საკუთარ თავში იკეტებიან და უჭირთ რეალობაში ნამდვილი მეგობრის პოვნა. მიუხედავად ამ მინუსისა, ტელეფონებს და ზოგადად ინტერნეტ სივრცეს შეუძლია ახალგაზრდას აურაცხელი ინფორმაცია მიანდოს. დღევანდელი თაობის ახალგაზრდები არიან მეტად მიზანდასახულები, კარგად ფლობენ ტექნოლოგიებს, არიან მეტად დამოუკიდებლები, შეუძლიათ საკუთარი თავისა და სახელის დამკვიდრება საზოგადოებაში. რაც შეეხება შესაძლებლობებს, ახალგაზრდებს მეტი შანსი აქვთ ამაღლონ ცოდნა უცხო ქვეყანაში და ეს ცოდნა ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ გამოიყენონ“.

გიორგი ცაბაურაშვილი: „ახალ თაობაში პლუსი იმდენად ბევრია, რომ რომელიმეს გამოყოფა გამიჭირ-



ნიკოლოზ ყორიაშვილი

დება, ვერც მინუსებს დავასახელებ“.

– როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი 20 წლის შემდეგ, ხედავთ თუ არა განვითარების შესაძლებლობას ჩვენივე ქვეყანაში?

ნიკა ავციანური: „მგონია, რომ ჩემს პროფესიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ვიქნები. შესაძლოა ძალიან ნარცისად ჩამთვალთ, მაგრამ ასე მიმაჩნია, რადგან ვიცი, რამდენს ვშრომობ და რა შემიძლია. განვითარება რა თქმა უნდა საქართველოშიც შეიძლება, იმიტომ რომ ნელ-ნელა იმკვიდრებს ადგილს ეს პროფესია. ბოლომდე რეალიზებული ნამდვილად ვერ იქნები ჩვენს სამშობლოში, რადგან განვითარების საშუალებას ქართული ბაზარი არ იძლევა, იქნება ეს მატერიალური თუ პროფესიონალური განვითარების კუთხით. მიუხედავად ამისა, მგონია, რომ საზღვარგარეთ წასვლა გამოსავალი არ არის და უზრალოდ პრობლემებისგან თავის დაღწევა, რადგან ყველა ფიქრობს, რომ აქ პერსპექტივა არ არის. მიმაჩნია, რომ თუ გვინდა უკეთესობისკენ შევცვალოთ ჩვენი ქვეყანა და დავამსხვრიოთ სტერეოტიპი, თითქოს აქ არაფერი გამოდის, აუცილებლად უნდა დავრჩეთ ქვეყანაში, გვექნედეს ერთი პირი და დიდი მოტივაცია უკეთესობისკენ წარაგვისთვის. მნიშვნელოვანია განვითარების სწრაფვა, რომელიც არ იქნება „მე“, არამედ იქნება – „ჩვენი ყველა ერთად. ასე მეტს შევძლებთ“.

ნიკოლოზ ყორიაშვილი: „ვიქნები შემდგარი ექიმი, რომელიც ყველაფერს გააკეთებს ადამიანის დასახმარებლად,

ჩემი მიზნის მისაღწევად არ დავზოგავ თავს და შევეცდები ჩემზე დამყარებული იმედი გავამართლო. რა თქმა უნდა, ძალიან მიხდა, ჩემი ცოდნითადა და შესაძლებლობებით მაქსიმუმს ჩემივე ქვეყანაში მივალნიო“.

გიორგი ცაბაურაშვილი: „მთავარია გვეროდეს შენი თავის. თუ ადამიანი იშრომებს შრომა ყოველთვის დაუფასდება. უზრალოდ მთავარია დრო და მონდომება. სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში ახალგაზრდებს არ აქვთ საშუალება, რომ აჩვენონ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი. რაც შეეხება მე, მომავალში ყველანაირად ვეცდები, რომ წარმატებას ჩემსავე ქვეყანაში მივალნიო და იმედი მაქვს სულ მალე ისეთ საქართველოს ვიხილავ, რომლის მომავალ თაობებსაც წარმატებისთვის სხვა მინა-წყალზე ცხოვრება აღარ მოუწევთ და სამშობლოში ბოლომდე რეალიზებას შეძლებენ“.

– თუ გყავთ გამორჩეული პედაგოგი, რომელმაც თქვენს ცხოვრებაში კვალი დატოვა?

ნიკა ავციანური: „კი არის რამდენიმე... ჩემი კლასის დამრიგებელი თამილა ვარდოშვილი და ლია წარწაშვილი, რომელმაც 12 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი მასწავლა“.

ნიმეო ქაპითარაძე: „რა თქმა უნდა, მყავს გამორჩეული პედაგოგები, რომლებმაც განსაკუთრებულად დამამასხვრეს თავი. ქიმიის მასწავლებელმა, ნათელა ბუთხუზმა ძალიან შემეყვარა საგანი, მან ბევრი გამოცდილება შემიძინა, რადგან აქტიურადაა ჩართული ღონისძიებებსა და პროექტებში. ნამდვილი პროფესიონალია, არა მხოლოდ ჩემი, არამედ ბევრი მოსწავლის საყვარელი და სამაგალითო მასწავლებელია. ასევე, ჩვენი სკოლის დირექტორი მათა სიმონიძე, რომელიც აქტიურად გვანფრინებდა კლასგარეშე ღონისძიებებში, სასკოლო პროექტებსა და პროფორიენტაციის ტრენინგებში, რისი წყალობითაც ავირჩიე ჩემი მომავალი პროფესია. მათემატიკის მასწავლებელი ქალბატონი დალი ბოსტაშვილი, სპეციალისტი, რომელმაც შემეყვარა და საფუძვლიანად შემასწავლა მათემატიკა“.

ნიკოლოზ ყორიაშვილი: „მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქართული ენის პედაგოგს, ნანა საყვარლიშვილს. მან დიდი როლი ითამაშა არა მხოლოდ განათლების, არამედ ჩემი ზნეობისა



ნინო ქავთარაძე

და სულიერების ჩამოყალიბებაში. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თითოეულ პედაგოგს თორმეტწლიანი დაუღალავი შრომისთვის. თქვენ თავი არ დაზოგეთ ჩემს სწავლა-აღზრდისთვის, რისთვისაც გიხდით უდიდეს მადლობას და ეს მადლობა ნამდვილად წრფელი და გულიდან ნამოსულია. სამრეკლოს საჯარო სკოლაში მიღებული თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნა ანთებული სანთელივით გაჰყვება ჩემს სავალ გზას“.

გიორგი ცაბაურაშვილი: „რამდენიმე პედაგოგს გამოვარჩევდი. პირველი იყო ჩვენი კლასის დამრიგებელი დანყებთი დანყებურზე, მათა ნიკოლაური, რომელმაც მასწავლა ჰუმანურობა და ყოველთვის მომიწოდებდა სიკეთე მეთესა და შემწყნარებელი ვყოფილიყავი“.

ბუნებასთან ადამიანის თანაცხოვრების დილემა

დედოფლისწყაროს მრავალწლიანი უწყლობის პრობლემა ივრის ქალაქთან მოგვარდება. მასშტაბური პროექტი დასასრულს უახლოვდება და უახლოეს მომავალში უწყვეტი წყალმომარაგების სისტემა ამუშავდება. პროექტის საწყის ეტაპზე სამი ვერსია განიხილებოდა. როგორც ჩანს, დედოფლისწყარომ წყლის საკმარისი დეპოზიტი ივრის ქალაქის ტერიტორიაზე იპოვა და სხვაგან უწყლობის პრობლემის გადაჭრის რესურსი აღარ უძებნია. ხე-ღობის უფლებამ მხოლოდ ახლა განმარტა, რომ დედოფლისწყაროს წყლის ცენტრალური რეზერვუარი ივრის ქალაქში ამგებულნი 6 ახალი ქაბურღილიდან მიღებული წყლით შეივსება და არა დალის მთის წყალსაცავიდან.

არასამთავრობო სექტორი კი ხალხის კეთილდღეობის პარალელურად ბუნების დაცვის საკითხებზე აპელირებს და ამბობს, რომ წყლის რესურსი აქედან რაიონულ ცენტრში კი არ უნდა გადაიტუმბოს, არამედ, ივრის ქალაქის გადასარჩენად აუცილებელია ამ ტერიტორიის დატბორვა. უკვე რამდენიმე წელია, „საბუკო“ დალის წყალსაცავიდან დაგუბებული წყლის გამოშვებას და ქალის დატბორვას ითხოვს. სპეციალისტების მტკიცებით, სხვა შემთხვევაში ბუნებრივი ეკოსისტემა გადაგვარდება.

ქვე ინფორმაცია, კონკრეტულად რა წყლით მომარაგდება მოსახლეობა.

– რა გავლენას ახდენს მაგისტრალი და ეს ინფრასტრუქტურა ივრის ქალაქის ეკოსისტემაზე?

– გაჭუნის ალკვეთილიდან რომ გამოვიდვართ, ტარიბანის ველზე საბჭოთა დროინდელი ძველი ელექტრობოძები იდგა, ათ ე უ ლ ო ბ ი თ წელია, ეს ბოძები ალკვეთილიდან რომ გამოვიდვართ, ტარიბანის ველზე საბჭოთა დროინდელი ძველი ელექტრობოძები იდგა, ათ ე უ ლ ო ბ ი თ წელია, ეს ბოძები

საცავის შესწავლას... – მომავალ 5 წლიან გეგმაში ერთ-ერთი საკითხი, რასაც ჩვენ შევისწავლით, ესაა დალის წყალსაცავის ამ ფორმით დატოვება აჯობებს, თუ მისი გაუქმება. ეს არც ისე მარტივი პროცესია, რადგან ტრანსპორტირებული წყლის ინტერესია გასათვალისწინებელი. ამ ყველაფერს ჩვენი პროექტის ფარგლებში გამოვიკვლიეთ და დასკვნას მოვამზადებთ. სახელმწიფო, ან მსოფლიო ბანკი რა ნაბიჯებს დგამს დალის წყალსაცავთან დაკავშირებით, ვერ გეტყვით, რადგან საჯაროდ არაფერი გამოქვეყნებულა. არც სახელმწიფოს განუცხადებია, რა სურს“.

* * *



ივრის ქალა

არასამთავრობო ორგანიზაცია „საბუკო“ (საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის) დედოფლისწყაროში სხვადასხვა მიმართულებით უკვე რამდენიმე წელია მუშაობს. 4 წლის განმავლობაში გაჭუნის ალკვეთილი მუშაობდნენ, ახლახან პროექტი კიდევ ერთი ვადით გაგრძელდა და უფრო გაფართოვდა. 5 წლიანი პროექტი გაჭუნის ალკვეთის, კონახურას, ზურაბის ქსელის ტერიტორიას, საბუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიას და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს მოიცავს. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, როგორ აფასებენ ბუნების დამცველები ივრის ქალაქიდან დედოფლისწყაროს წყლით მომარაგების პროექტს, რა შენიშვნები აქვთ სპეციალისტებს და არის თუ არა ამ ტერიტორიაზე წყლის სათანადო რესურსი.



ქვყარილი მდ „იორზე“

ბი უფუნქციოდ იყო და მასზე ძირითადად არნივები სახლობდნენ, ეს კი ჩვენი ორგანიზაციის შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. დედოფლისწყაროს წყლით მომარაგების პროექტის დაწყებისთანავე ამ ტერიტორიაზე ელექტროენერჯის მისაყვანად ეს ბოძები განაახლეს. სადგენების გაყვანის დროს ბოძებზე ბეჭობის არნივის ბუდე მოშალეს. ამდენად, ამ სახეობის საბუდარი ადგილი დაგვეკარგა, რომლის დაკვირვებასაც ჩვენ მრავალი წელია ვახდენთ.

– არის თუ არა ივრის ქალის ტერიტორიაზე წყლის საკმარისი რესურსი?

– „იორი“ სანამ დედოფლისწყარომდე ჩამოვა, მანამდე ხდება მისი სარწყავად მოხმარება. ისედაც ეს არც ისე წყალუბვი მდინარეა, ამდენად ისმის კითხვა, მისი რესურსი რამდენად საკმარისია. ერთ-ერთი, რაზეც ჩვენ გვსურს მუშაობა, ესაა წყლის რესურსები. გახანგრძლივებული ვადის პერიოდში დამატებითი კვლევები ჩატარდება დალის წყალსაცავზე.

ასევე, საძოვრებზე ვმუშაობდით, გაკეთდა ლობე, რომელიც უკონტროლო ძოვებს აფერხებს და იცავს ქალის ტყეს. რომ შესვლით მესერს იქით მცენარეთა საფარი ბევრად განსხვავდება. შედეგები თვალნათელი იყო ჩვენი დონორი ორგანიზაციებისთვის და გადამხდა, არეალი გაფართოვდა. შეგვეძლო სხვა ტერიტორიებზე წავსულიყავით, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია დანებებული საქმის მდგრადობა და ტერიტორიის საფუძვლიანი კვლევა.

2021 წელს განისაზღვრა სულადობის ნორმები, რამდენი საქონელია შექტარზე დაშვებული ძოვებისთვის. ეს იყო სახელმწიფოს მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი პრობლემის მოსაგვარებლად. ასევე რეგულირდება დაცული ტერიტორიები, მაგრამ რჩება მუნიციპალური საძოვრები, რომელიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ეკუთვნის და თვითმმართველობამ უნდა მოახდინოს, რა ხაზზე აქვთ მათ და რომელი პირებიან საძოვრების მართვას. სხვა მნიშვნელოვანი არააქვს კონკრეტული მოსაძვარი ტერიტორიები აქვს, რაც დაგვეხმარებოდა საძოვრების მდგრადი მართვისთვის სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვაში.

– მარტის თვეში დამტკიცდა გაჭუნის ალკვეთილის სამოქმედო გეგმა... – გაჭუნის ალკვეთის მართვის გეგმა არ გააჩნდა. გასულ წლებში ვმუშაობდით მის შექმნაზე. ჩვენ ჩვენი ხედვები და რეკომენდაციები ავსახეთ გეგმაში. მხოლოდ სახელმწიფო ამ ყველაფერს ვერ ალასრულებს, მოუხდავად იმისა, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტოა აღმასრულებელი ორგანო. მაგრამ ჩვენ მაქსიმალურად ვეხმარებით და ვუზიარებთ ინფორმაციებს. სახელმწიფოს შეუძლია თავად მოამზადოს სხვადასხვა დაცული ტერიტორიის მართვის გეგმები, თუმცა, რადგან არსებობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც კონკრეტულ ტერიტორიებზე მრავალი წელია მუშაობენ და ამომწურავ ინფორმაციას ფლობენ, კარგია, რომ მართვის გეგმის შემუშავებაზე ასეთი ორგანიზაციები მუშაობენ. მენეჯმენტის გეგმა უფრო უფუნქციური რომ იყოს, ამისათვის ველზე მრავალი გასვლაა აუცილებელი. კონკრეტული ინფორმაციის და მონაცემების ცოდნაა საჭირო, რისი რესურსიც შესაძლოა სახელმწიფოს არ ჰქონდეს და არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაციების როლს სწორედ ამაში ვხედავ, რომ მათ ჩვენი ხედვები გაეზიარათ.

– მსოფლიო ბანკი გეგმავდა 30 წელი... – მსოფლიო ბანკი გეგმავდა 30 წელია, ეს ბოძები

დალის მთის წყალსაცავს თავისი ფუნქცია არასდროს შეუსრულებია. დალუქულია, მხოლოდ ფარებიდან სანიტარულ ხარჯს ატარებენ და წყალსაცავში წყლის სტაბილურ დონეს ინარჩუნებენ (წყალსაცავი მშს საქართველოს მელორაციის დაქვემდებარებაშია). გარდა ამისა, იქვე ერთ-ერთ კერძო მენარმეზე გარემოს დაცვის სამინისტროს 2030 წლამდე გაცემული აქვს ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის ლიცენზია და, ფაქტობრივად, მხოლოდ კერძო პირი იყენებს მას სარწყავად და თევზჭერისთვის. სხვა მხრივ, დღეს დალის მთის წყალსაცავს მკედარ ზონად მოიხსენებენ. „ტრიალ მინდორში მდგარი უფუნქციო რეზერვუარი“, – ასე ახასიათებს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჰიდრომელიორაციისა და მინის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიზო ჭელიძე ამ, თავის დროზე, მასშტაბური პროექტის ახლანდელ მდგომარეობას.

დალის მთის წყალსაცავის ისტორია გასული საუკუნის 80-იან წლებში იწყება. საქართველოში სიდიდით მეორე წყალსაცავის მშენებლობა, წესით, უბრალო მოვლენა არ უნდა ყოფილიყო. თუმცა, ფუნქცია არასდროს შეუსრულებია. საბჭოთა კავშირის დასრულებიდან სულ მალე, 1992 წელს ექსპლუატაციაში შევიდა და მისი გამოყენება საირიგაციო მიზნებისთვის გადაწყდა. სარწყავად გამოიყენებული წყალსაცავის მშენებლობის მიზანი გაჭუნის ალკვეთილის მიდამოებში ორი ახალი სოფლის გაშენება და მინების სასოფლო-სამეურნეო მიზნით ათვისება უნდა ყოფილიყო. თუმცა, როგორც პირობები ნიკა ნითელაშვილი იხსენებს, გახსნის წელსვე ივრის ხეობაში წყალდიდობა მოხდა. კამხალში წყალმა ისე სწრაფად მოიმატა, თანამშრომლები შემინდნენ და გადაწყვიტეს, გაეხსნათ ფარები და მალე დაეცალათ კამხალი. თუმცა, მეორე ვერსიით, წყალსაცავის მშენებლობა რეალურად, ბოლომდე არ იყო მიყვანილი. შედეგად: „ხედა ნაწილი დატურდა და დღემდე ავაროულ მდგომარეობაში“.

რაც შეეხება, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოზიციას, როგორ ხედავენ ისინი დალის მთის წყალსაცავის მომსახურებას, გიზო ჭელიძე ამბობს, რომ სამინისტროში თითქმის ყოველ წელს აქტუალური ხდება შეკითხვა – რა ვუქმობ დალის წყალსაცავს?

„ნაწილი ამბობს, რომ უნდა დაეანეროთ, ნაწილი მის რეკონსტრუქციას უფერს მხარს. მე ამაზე ცალსახა პასუხი არ მაქვს. ორივე ძალიან დიდ ფულად რესურსთანა დაკავშირებული. დანერგვასაც თანხები სჭირდება და მის აღდგენაზე უფროც სარისკოა, – ამიტომ, მსოფლიო ბანკმა დაიწყო პროექტი, რომელიც ალკვეთილი საქართველოში 30-მდე წყალსაცავის შესწავლას ითვალისწინებს. ერთ-ერთი მათ შორის დალის მთის წყალსაცავი იქნება. სწორედ ეს კვლევა გასცემს პასუხს შეკითხვას – გვიღობს თუ არა დალის წყალსაცავის მომსახურება უფრო? ვამბობ, რომ ეს წყალსაცავი ისედაც უფუნქციოა და მას თუ ვინმე სასარგებლოდ გამოიყენებს, პირიქით, მივესალმებით. მაგრამ, კიდევ ვამბობ, რომ იქამდე, ბევრი რამე შესაძლებელია, – ამბობს გიზო ჭელიძე.

ლანდშაფტის აღდგენის პროექტების დაფინანსება იპროპის მასშტაბით დას 26 მილიონი დოლარიანი ბაიზარია და, თანხა დედოფლისწყაროში მიმდინარე პროექტსაც მოხმარდება. ფინეთის ბორეალური ტყის უკაცრიელი გარემოდან დაწყებული სოლენიტის შესართავებამდე, ევროპის მასშტაბით ლანდშაფტის აღდგენის შიდა პროექტი 26 მილიონ დოლარზე მეტით (21 მილიონი ფუნტი) დაფინანსდა „საფრთხის წინაშე მყოფი ლანდშაფტების პროგრამის“ (ELP) მიერ. პროექტების მიერ მოცული ფართობი 18-ჯერ აღემატება ლონდონის ადმინისტრაციაში შემავალ ტერიტორიას და ითვალისწინებს ველური ბუნების დაბრუნებას იბერიის მაღალმთიანეთში, მწვა-

ნე საფარის აღდგენას საქართველოს სტეპში და წინფოვანი პლანტაციების ჩანაცვლებას ბუნებრივი მდინარეებითა და ფოთლოვანი ტყეებით როდობის მთებში სამხრეთ-აღმოსავლეთ ბულგარეთში.

სხვა კვლევებთან ერთად ასევე არის საგრანტო პროექტი ივრის და ალაზნის მდინარეებს შორის არსებულ ქართულ სტეპში საქმიანობის მხარდასაჭერად, რომელიც მასპინძლობს პალეარტიკული, ინდომალური და აფროტროპიკული ფაუნის უნიკალურ ნაზავს, მათ შორის ტურას, მგელს და სხვა. პროექტი გააფართოვებს საძოვრების აღდგენას და გააგრძელებს მუშაობას მეცხოველეობით დაკავებულ საზოგადოებასთან, კახეთში ველური ბუნების დერეფნების აღსადგენად. ლანდშაფტის აღდგენის ასეთი ამბიციური გეგმა საბოლოოდ ეკონომიურად ეფექტური საშუალება იქნება კლიმატის კრიზისების მოსაგვარებლად.

სატელიტის სურათზე დაკვირვებით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მდინარე იორი და გაჭუნის სტეპი არის განსხვავებული ეკოსისტემა, თუმცა, სინამდვილეში ისინი ერთმანეთთან ძლიერ კავშირშია. ეკოლოგმა ზურაბ გურგენიძემ განმარტა არსებული კავშირი: „ტიპური სტეპური სახეობები დასაწყევად იყენებენ მდინარის წყალს იმ დროს, როდესაც მტაცებლები, მათ შორის, ბეჭობის არნივი, რომელიც ბუდეს ჭყის ტყის იკეთებს, იკვებება სტეპებში მოზინადრე გველებითა და კურდღლებით. სტეპების კონსერვაცია მდინარის კონსერვაციის გარეშე და პირიქით – წარმოუდგენელია“.

ფოტოსაფანგებით გადაღებული კადრებიდან ჩანს, რომ გაჭუნაში მრავალადაა გავრცელებული გარეული ღორი, ტურა, ენოტი და ნითელ წუსხაში შეყვანილი ლელიანი კატა. სწორედ ეს ცხოველები გადაიღო ყველაზე მეტმა კამერამ და მათი ფოტოების რაოდენობაც აჭარბებს ყველა სხვა ცხოველის დაფიქსირებას. „საბუკოს“ ფოტოსაფანგებმა პირველად დააფიქსირა გაჭუნაში ფოცხვერი, რომელიც საქართველოში გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშეა და „საბუკოს“ მკვლევარების ცნობით, აქამდე მხოლოდ ვარაუდები არსებობდა ფოცხვერის გავრცელების შესახებ. გაჭუნას მიმდებარედ, ვაშლოვანში, ფოცხვერის საკმაოდ მყარი პოპულაცია არსებობს, თუმცა, არასდროს დაფიქსირებულა გაჭუნის ტერიტორიაზე.

ბალახის შემცირების გამო, ცხვარი ფერმერებს ქალის ტყეებშიც შეჰყავდათ, ქალის ტყის ეკოსისტემის მენარჩუნება კი ადგილობრივი ბიომრავალფეროვნებისთვის უმნიშვნელოვანესია. გაჭუნას მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებულია ზამთრის საძოვარი, სადაც სეზონურად ცხვრის დიდი რაოდენობა დაფიქსირდება. არამდგრად მოვებასთან ერთად, პრობლემას ქმნიდა ცხვრის დარწყვლეობაც. მეცხვარეებს არ ჰქონდათ დასარწყვლელები, ამიტომ ცხვარი ქალის ტყეებშიც შედიოდა მდინარეზე ჩაყვანის დროსაც. დიდი რაოდენობის ცხვარი ქალის ტყეებში ახალ აღმონაცენს აზიანებდა და ხელს უშლიდა ეკოსისტემის განახლებას.

დედოფლისწყაროში სასმელი წყლით უზრუნველყოფის პროექტი რეალურია, მოსახლეობაც მის დასრულებას სულ მოუთქმელად ელის. ღიად გაცხადებულია ის ფაქტიც, რომ ამ პროექტს დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია საზოგადოებისთვის, თითოეული ადამიანისთვის. არ არსებობს გეოლოგიური დასკვნა, რომელიც გარემოსდამცველთა ერთი ჯგუფის ვარაუდებსა თუ წუხილს, ეკოსისტემის საფრთხის შესახებ, დამაჯერებელს გახდის.

ბუნებასთან ადამიანის ჰარმონიული თანაცხოვრება კი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც მოსახლეობის ეკონომიურ მდგომარეობაზეც და გარემოზეც სასიკეთოდ აისახება.

რაც შეეხება „დალის მთის წყალსაცავის“ საკითხს ამაზეც კომპეტენტური სამსახურები იმსჯელებენ და გადამწყვეტენ, მისი არსებობა სჯობს თუ არარსებობა.

როგორ უნდა დავიცვათ თავი კიბერდამნაშავეებისგან?

წლებია კიბერთაღლითობა თანამედროვე საზოგადოებისთვის გამონაკვეთად რჩება, მით უფრო, რომ დანაშაულის სქემები სულ უფრო იხვეწება და რთულად ამოსაცნობი ხდება. აღნიშნული სქემები ტრიალებს თითქმის ყველა პლატფორმაზე, იქნება ეს „ფეისბუქი“, „ინსტაგრამი“, ელექტრონული ფოსტა, „ვოთსაფი“, „ტელეგრამი“ თუ სხვა. თავის დაცვის ერთადერთი მექანიზმი კი ისევ და ისევ მომხმარებლის ინფორმირებულობაა.

ბოლო პერიოდში კიბერთაღლითობა ახალი სქემები შეიმუშავებს, რომლებიც ინვესტიციების განხორციელებაზეა დაფუძნებული. შეთავაზებები, რომლებსაც ისინი სხვადასხვა პლატფორმაზე ათავსებენ, იმდენად რეალურს ჰგავს, რომ შეიძლება მათ სიყალბეში ეჭვიც არ შევიტანოთ.

ახალი სქემები შეგებდნენ რა მუშაობს:

• „ინსტაგრამი“ და „ფეისბუქზე“ აქტიურად თავსდება ინვესტიციებთან დაკავშირებით შეთავაზებები, რომლებიც მომხმარებლისთვის მომხიბვლელად გამოიყურება. ამასთან, შეთავაზება იმდენად ჰგავს კომპეტენტურად მომზადებულს და პირები, ვინც ინვესტიციის გამოხატვის შემთხვევაში შეიძლება გამოგვხმარონ, იმდენად ინფორმირებულად შეიძლება მოგვეჩვენონ, აღნიშნულ საკითხებში, რომ ეჭვის შეტანა გაგიჭირდება.

მსგავსი სქემებისგან თავის დაზღვევის გზა იქნება, ყოველთვის გადაამოწმოთ შეთავაზება რამდენად შეესაბამება სიმართლეს: რა რეპუტაციით სარგებლობს კომპანია, რომელიც ინვესტიციების განხორციელებას გთავაზობთ და არსებობენ თუ არა მისი კმაყოფილი მომხმარებლები. თუ მის შესახებ ინფორმაციის მოძიება გიჭირთ ან თქვენთვის უცნობ „კომპანიასთან“ გაქვთ საქმე, სჯობს თანამშრომლობისგან თავი შეიკავოთ, რადგან, დიდი ალბათობით, თაღლითობის მსხვერპლი გახდებით და ყალბ ინვესტიციაში ჩადებულ თანხას დაკარგავთ.

• კიდევ ერთი სქემა, რომელიც კი-

ბერთაღლითობა ასევე ბოლო პერიოდში შეიმუშავებს, გადახდების საშუალებით სხვისი საბანკო მონაცემების მითვისებაა, ოღონდ ამჯერად უფრო „დახვეწილი“ გზით. კერძოდ, კლიენტებს ეგზავნებათ SMS შეტყობინება, რომელიც სხვადასხვა სერვისის დავალიანებას ატყობინებთ, მაგალითად, „საქართველოს ფოსტის“ ან NETFLIX-ის გადასახადი. მომხმარებელი გადადის ყალბ ბმულზე, სადაც გადახდის მიზნით შეჰყავს თავისი პირადი ინფორმაცია და ასე ებმება მახეში. კიბერთაღლითი მომხმარებლის პირად მონაცემებს ამ გზით იპარავს, შემდეგ ის მოპარული ბარათის მონაცემებს ამატებს Apple/Google Pay wallet-ში, რა დროსაც მომხმარებელს ეგზავნება კოდი ოპერაციის დადასტურებისთვის. სამწუხაროდ, ის ამ კოდსაც აზიარებს, კიბერთაღლითი კი ელექტრონულ საფულეში დამატებული ბარათით ახორციელებს გადახდებს პოსტერმინალებზე თუ ვებგვერდებზე.

აღნიშნული სქემა ძველებთან შედარებით კიდევ უფრო „დახვეწილი“ და ჩახლართულია.

ამასთან, ისევ „აქტუალური“ ძველი სქემებიც და ნებისმიერი შეთავაზებით დაინტერესებისას ან ნებისმიერ ბმულზე გადასვლისას, აუცილებელია, კიბერთაღლითთა მეთოდებზე წინასწარ იყოთ ინფორმირებული:

• ყალბი გათამაშებები, აქციები, ფასდაკლებები და ა.შ.

ინტერნეტთაღლითები თანხის მითვისების აღნიშნულ მეთოდს უკვე წლებია იყენებენ, თუმცა მახეში დღესაც ათასობით მომხმარებელი ებმება.

საქართველოში კიბერთაღლითები ცნობილი და სახლო კომპანიების სახელით სოციალურ ქსელებში ათავსებდნენ გათამაშებებს, მაგალითად, სახელით „საჩუქრები მობილბანკში“, რომელში მონაწილეობისთვისაც მომხმარებელი ბმულზე უნდა გადასულიყო და თავისი საბანკო მონაცემები შეეყვანა, შედეგად კი ანგარიშებზე არსებულ თანხას კარგავდა. ასევე, აქტიურად იყო გათამაშება „საქართველოს ფოსტის“ სახელით, რომლის მსხვერპლიც არაერთი ადამიანი გახდა.

ამგვარი შეთავაზებით დაინტერესების შემთხვევაში, აუცილებლად გადაამოწმეთ, რამდენად რეალურია ის. მაგალითად, იაფი ინტერნეტპაკეტების რეკლამის ნახვისას დაუკავშირდით ოპერატორს და დააზუსტეთ თუ გათამაშებები ან დაუკავშირდით ბანკს და მიიღეთ ინფორმაცია, ატარებენ თუ არა გათამაშებებს და სხვა. თუ ინფორმაციის მოძიებას ვერ

ახერხებთ, სჯობს საეჭვო ბმულებზე არ გადახვიდეთ. გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი სქემები განსაკუთრებით „აქტიურად“ ხდება დღესასწაულებზე, როცა აქციები და ფასდაკლებები ჩვეულებრივი მოვლენაა.

• MyMarket/MyAuto-ს მომხმარებლებისთვის მყიდველის სახელით მიწოდებული აღნიშნული ვებგვერდების მომხმარებელი ხართ, სასურველია ნივთის გაყიდვამდე ან შესყიდვამდე შემდეგი სქემის შესახებ ინფორმირებული იყოთ:

თაღლითები ინტერნეტმომხმარებელს უკავშირდებიან MyMarket-ზე ან MyAuto-ზე გასაყიდ ნივთთან დაკავშირებით, გამოთქვამენ პროდუქტის შეძენის სურვილს და სთხოვენ მის საფოსტო ან საკურიერო სერვისით მიწოდებას. დაკავშირება ძირითადად, „ვოთსაფის“ ან „ვაიბერის“ მეშვეობით ხდება (ალსანიშნავია, რომ შეიძლება, იმავე სქემით მოტყუვდეს როგორც პროდუქტის გამყიდველი, ისე მყიდველი).

შეთანხმების შემდეგ თაღლითები ინტერნეტმომხმარებელს უგზავნიან საფოსტო ან საკურიერო კომპანიის ყალბ ბმულს, იქნება ეს DHL, „საქართველოს ფოსტა“ თუ სხვა, რომელზეც მას მიტანის სერვისის გადახდის მიზნით შეჰყავს საბანკო მონაცემები და კიბერთაღლითების მსხვერპლი ხდება.

ზოგიერთ შემთხვევაში, ნივთის საფასურის ჩარიცხვის მიზნით ინტერნეტმომხმარებელს თაღლითი უგზავნის Mbank/ibank-ის ბმულს, სადაც მონაცემების შეყვანის შემთხვევაში სწრაფად ხდება თანხის მითვისება.

• ფულადი გზავნილების კომპანიების სახელით გადარიცხვები (მაგალითად, Western Union)

Western Union-ით გადარიცხვის სქემა შემდეგნაირად მუშაობს: ფრანსტერი (ფიზიკური პირი, რომელმაც თაღლითობა ჩაიდინა) უძრავი ქონების სხვადასხვა ვებგვერდზე (Booking.com, MyHome და სხვა) ნახულობს განცხადებებს და უკავშირდება მესაკუთრეს. დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში უძრავ ქონებასთან დაკავშირებით არკვევს სხვადასხვა დეტალს, მათ შორის, შეიძლება იკითხოთ, დაიშვებოდა თუ არა ცხოველები და ა. შ. აღნიშნული კითხვების დასა-მა თაღლითს მსხვერპლის ნდობის მოსაპოვებლად სჭირდება. საბოლოოდ კი თაღლითი განმცხადებელს უთანხმდება, რომ სურს ქირაობა და პირველი თვის საფასურს ან თანხის ნაწილს გზავნილის საშუალებით გამოუგზავნის. ამის შემდეგ კი უზიარებს Western Union-ის ფიშინგ



ბმულსა და ასევე კოდს, რომელიც რეალურად გზავნილის მიღების ყალბი კოდია.


უმეტეს შემთხვევაში, უძრავი ქონების მესაკუთრე აღნიშნული კოდით ცდილობს მობილბანკში გზავნილის მიღებას, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგან არარსებულ გადარიცხვასთან აქვს საქმე. აღნიშნული „ხარვეზის“ შემდეგ, თაღლითები მას სთავაზობენ, რომ მათ მიერ მიწოდებული Western Union-ის ბმულით ისარგებლოს და ისე მიიღოს გზავნილი. აღნიშნულ ბმულზე გადასვლის შემდეგ მსხვერპლს თავდაპირველად შეჰყავს ფრანსტერის მიერ გაზიარებული ყალბი გზავნილის კოდი. მომდევნო გვერდზე გადასვლის შემდეგ კი სთავაზობენ, აირჩიოს მომსახურე ბანკი, რის შემდეგაც იხსნება ინტერნეტ ან მობილბანკთან მიმსგავსებული ფიშინგ გვერდი, სადაც მომხმარებელს იუზერისა და პაროლის შეყვანას სთხოვენ. მონაცემების შეყვანის შემდეგ ფრანსტერი „იპარავს“ მსხვერპლის პირად ინფორმაციას, შედიან მის ინტერნეტ თუ მობილბანკში და ითვისებენ თანხას.

კიბერთაღლითთა სქემებისგან თავდასაცემის რეკომენდაციები:

- არ გადახვიდეთ საეჭვო ბმულებზე;
- თუ მინც გადახვიდეთ, დააკვირდით მას. როგორც წესი, ოფიციალური აპლიკაციის ვებგვერდის სიმბოლოებში განსხვავდება;
- თავად აკრიფეთ ვებგვერდის მისამართი და დააკვირდით ბოქლომს (უნდა იყოს დახურული მდგომარეობაში) ენდეთ მხოლოდ თქვენ მიერ მოძიებულ ოფიციალურ გვერდს;
- არასდროს არავის გაუზიაროთ პირადი საბანკო მონაცემები და ერთჯერადი კოდი, რამდენად სანდოც არ უნდა გეჩვენებოდეთ შეთავაზება.

ინტერნეტთაღლითებისგან თავდაცვის ყველაზე ქმედითი მექანიზმი ინფორმირებულობა და სიფრთხილეა.

მომზადდა
შუშუნა ყანაშვილიმ



უსიამოვნო და მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობას, რომელიც ბევრი პედაგოგებისთვის არის ნაცნობი, ხშირად მოიხსენიებენ „პედაგოგიური სტრესის“ სახელწოდებით. იგი, ეგრეთწოდებულ „პროფესიულ სტრესისთან“ რიგს მიეკუთვნება და დღეისათვის თითქმის მთელ მსოფლიოში აღზრდა-განათლების სისტემის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემად არის მიჩნეული.

უკვე რამდენიმე წელია, რაც ბრიტანეთის პედაგოგთა ნაციონალური პროფკავშირების თაოსნობით ამ პრობლემის შესახებ ნოტინჰემის უნივერსიტეტი საგანგებო გამოკვლევებს ატარებს. მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ სხვა პროფესიების წარმომადგენლებთან შედარებით, პედაგოგები უფრო ხშირად განიცდიან პრობლემითი საქმიანობით გამოწვეულ მავნე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას. მკვეთრად იზრდება იმ პედაგოგთა რიცხვი, სტრესულ ზემოქმედებას რომ უჩივიან. ყოველწლიურად ბევრი მათგანი იძულებული ხდება, სწორედ ამ მიზეზის გამო დატოვოს პედაგოგიური მოღვაწეობა. ნოტინჰემის უნივერსიტეტის მკვლევარები მასწავლებლის მოღვაწეობის ძირითად ფორმას-გაკვეთილს უპირველეს სტრესფაქტორად მიიჩნევენ; საკუთარ სპეციალობაში მუდმივად კომპეტენტურად გამოჩენის აუცილებლობის

პედაგოგიური სტრესის-ხომოხი შევებხომოთ მას?

თვითმობილობა, ნებისმიერ სიტუაციაში თუ აუდიტორიასთან რესპექტაბელურად წარდგენის მოლოდინი, პედაგოგის სულიერ მდგომარეობას მუდმივ ფსიქოლოგიურ სიმძიმედ აწვება და აიძულებს სულ უფრო მეტი ფსიქოფიზიოლოგიური ენერჯია დატოვოს კლასში. მეორე სტრეს-ფაქტორად დასახელებულია პედაგოგიურ კოლექტივებში გამეფებული არაჯანსაღი კოლეგიალური ატმოსფერო, ხოლო მესამე ადგილზეა საგანმანათლებლო უწყებებში თუ სასკოლო ადმინისტრაციაში დანერგული მავნე ბიუროკრატიული ფორმალისმი, როდესაც მშრალ გარეგნულ შედეგებს ხშირად მსხვერპლად ენიშნება ცალკეულ მასწავლებელთა შემოქმედებითი ინიციატივა და ითრგუნება ენთუზიაზმი.

გამოკვლევების შედეგებზე დაყრდნობით, ბრიტანეთის პედაგოგთა ნაციონალური პროფკავშირების წარმომადგენლები სულ უფრო დაუფინებთ მოითხოვენ ორგანიზაციული ზომების გატარებას მასწავლებელთათვის სამუშაო პირობების გასაადვილებლად კერძოდ, მიიჩნევენ რომ სასურველია კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდეს, შემუშავდეს ღონისძიებათა პროგრამა მასწავლებელთა დასვენებისა და მკურნალობის,

აგრეთვე, მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოსწავლეებთან ურთიერთობის სრულყოფის ხელშეწყობით ფსიქოლოგიური მეთოდების ათვისებას და ასე შემდეგ. თუ ამ პრობლემის სიმწვავეს ბრიტანელები შეუფიქრიანებია, მაშინ რაღა ითქმის ჩვენი განათლების სისტემისა თუ პედაგოგების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. სახელმწიფო ჯერჯერობით ვერ მომწინებულა იმ შეგნამდე, რომ საგანმანათლებლო სფეროზე ზრუნვა მის ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავად გაიხადონ. პედაგოგთა კორპუსს ისლა დარჩენია, თავად ეცადოს გამოსავლის მოძებნა მისთვის მისაწვდომი პრაქტიკული ხერხების გამოყენების მეშვეობით. აი, რამდენიმე მათგანიც:

1. კლასთან ურთიერთობის პროცესში შეეცადეთ ერთდროულად სიმტკიცისა და გახსნილი ქცევის ჰარმონიული შეხამება მოახერხოთ;
2. მთელი გაკვეთილის განმავლობაში მოსწავლეები მაქსიმალური დატვირთვით ამეცადინეთ, ამასთანავე, მათი წარმატების შემთხვევაში ნუ დაიბურებთ შექებას.
3. ზედმეტი ნერვიული დაძაბულობის თავიდან აცილების მიზნით სასურველი

და სასარგებლო იქნება წინასწარ თადარიგანად დაგეგმოთ სამუშაო პროცესი და ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები პირველ რიგში წამოსწიოთ.

4. პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სახის სირთულე ობიექტურად შეაფასეთ და წარმოქმნილი პრობლემები მშვიდი გონებით განსაჯეთ.

5. სტრესული სიტუაციისას შეეცადეთ იყოთ ყურადღებიანი, გულისხმიერი, იმოქმედეთ და ილაპარაკეთ ჩვეულებრივზე დინჯად, რამეთუ თქვენდაუნებურად ხელი არ შეუწყობთ კონფლიქტის გამწვავებას.

6. სამუშაო პროცესის დამთავრებისთანავე ეცადეთ გამოჰყოთ დროის განსაზღვრული მონაკვეთი თუნდაც მცირედი დასვენებისთვის.

7. სტრესული ზეგავლენიდან გათავისუფლების მიზნით, ნუ მიმართავთ დაძაბულ გონებრივ საქმიანობას. უკეთესია, ნაკლებად დამქანცველი და უპირატესად დადებითი ემოციების აღმძვრელი საქმე მოძებნოთ.

8. შეეცადეთ, აქტიურად დაისვენოთ იმ ადამიანებთან ურთიერთობაში, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ თქვენს პროფესიასთან.

ფსიქოლოგი
ბასიკ გიგოლაშვილი

ოსტეოპოროზი — „ჩუმი“ დაავადება

ოსტეოპოროზი - ეს სიტყვა სულ უფრო ხშირად გვეხვება ჩვენი ექიმებისა და პაციენტებისაგან. დღეს შევეცდებით მოკლედ ვისაუბროთ ამ დიაგნოზის დროს აღმოცენებული უმთავრეს შეკითხვებს.

რა არის ოსტეოპოროზი?

ოსტეოპოროზი არის ძვლის მინერალური სიმკვრივის დაქვეითება, რის შედეგადაც ძვალი თხელდება, სუსტდება, ადვილად ზიანდება და იმტვრევა. ძვლის მინერალიზაციის დაქვეითება დროთა განმავლობაში იწვევს ოსტეოპოროზის განვითარებას.

არის თუ არა ოსტეოპოროზი მხოლოდ ხანდაზმულთა დაავადება?

მართალია ოსტეოპოროზის შედეგებს უხშირესად ხანდაზმულ ასაკში ვხვდებით, მაგრამ დაავადება აღმოცენდება და პროგრესირებს საშუალო ასაკიდანვე. დადგენილია, რომ ადამიანის ძვლები ყველაზე ძლიერია დაახლოებით ოცი წლის ასაკისათვის. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ძვლების სიძლიერე ახალგაზრდა ასაკში, რათა სიცოცხლის ბოლომდე შენარჩუნდეს ძვლების ჯანმრთელობა.

რააო არის ოსტეოპოროზი საზოგადოებაში ჯანდაცვის მნიშვნელოვანი პრობლემა?

ამერიკის შეერთებულ შტატებში ოსტეოპოროზი აქვს 10 მილიონ ადამიანს, მათი 80% ქალია. 34 მილიონ ადამიანს კი აქვს ამ დაავადების აღმოცენების რისკი ძვლის დაბალი მინერალური სიმკვრივის გამო. ოსტეოპოროზი ყოველწლიურად 1,5 მილიონი მოტყევილობის მიზეზია. მათ შორის 350 000 ბარძაყის მოტყევილობაა. მოტყევილობათა მკურნალობის ხარჯები ძალზე მაღალია, აღნიშნულს კი ემატება მუდმივი შეზღუდული შესაძლებლობები, პაციენტი ვერ უბრუნდება სამუშაოს ან ვეღარ ასრულებს ყოველდღიურ ჩვეულ აქტივობას. სწორედ ამიტომაც ოსტეოპოროზი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვანი პრობლემაა.

ოსტეოპოროზის სივრცობა

ოსტეოპოროზი შესაძლებელია ყოველგვარი ცხადი სიმპტომის გარეშე მიმდინარეობდეს და პაციენტი უცნაურ მცირე ტრავმისას აღმოცენებულ მოტყევილობამდე ვერც კი ხვდებოდეს, რომ მას დაავადება აქვს. ტკივილი არ არის ოსტეოპოროზის ნამყვანი სიმპტომი, თუმცა ის შეიძლება აღმოცენდეს ოსტეოპოროზით გამოწვეული მოტყევილობისას.

ოსტეოპოროზის შედეგი შეიძლება იყოს ხერხემლის მალევის კომპრესიული მოტყევილობა. სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, ოსტეოპოროზის დროს მოტყევილობა აღმოცენდება მცირედი ტრავმის დროსაც კი, მაგალითად, დაცემისას, შემოჭერისას, სხეულის მკვეთრი მოტრიალებისას, დაცემებისას. ხერხემლის მალე მინერალიზაციისა და სიმტკიცის დაქვეითების გამო იმსხვერვა და ზოგჯერ იწვევს მკვეთრ მონროლობას, კუნთის გაჩენას.

ოსტეოპოროზისას ხშირია ე. წ. სტრესული მოტყევილობა. ის ვითარდება განმეორებითი დაზიანებისას, ჩვეულებრივ, ძალიან მცირე ტრავმის დროს.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ბარძაყის მოტყევილობაა. მისი მიზეზი შეიძლება გახდეს უბრალო დაცემაც კი. ოსტეოპო-

როზის გამო მოტყევილობის შეხორცების პროცესი ძალიან ხანგრძლივდება.

ოსტეოპოროზის შედეგები

ოსტეოპოროზით გამოწვეული მოტყევილობა მნიშვნელოვანი ტკივილისა და შეზღუდული შესაძლებლობების მიზეზი შეიძლება გახდეს. ბარძაყის მოტყევილობის შემდეგ პაციენტთა 20%, ანუ ერთი მეხუთედი, ერთი წლის განმავლობაში ფატალურად ამთავრებს სიცოცხლეს, ხოლო ერთ მესამედს აღარ შეუძლია თავის მოვლა. თუ პაციენტი აქვს ერთი მალის კომპრესიული მოტყევილობა, მას აქვს სხვა მალევის ანალოგიური მოტყევილობის აღმოცენების დიდი რისკი.

როგორ ვაჩვენებთ ახალგაზრდას კალს სიძლიერე?

ძვლის სიძლიერე დამოკიდებულია ძვლის მასაზე - მინერალურ სიმკვრივეზე. რაც უფრო მეტია ძვლის მინერალური სიმკვრივე, მით უფრო ძლიერია ძვალი.

ძვლების სიძლიერეზე მოქმედი ფაქტორებია: გენეტიკა, გარემო, მედიკამენტები.

ეთნიკური კუთვნილება - აფროამერიკელებს უფრო მაღალი აქვთ ძვლის მინერალური სიმკვრივე, ვიდრე კავკასიელებს ან აზიელებს;

სქესი - მამაკაცების ძვლების მინერალური სიმკვრივე უფრო მაღალია, ვიდრე ქალებისა;

ასაკი - ძვლის მინერალური სიმკვრივე პიკს აღწევს 25 წლისათვის და მცირდება 35 წლის შემდეგ.

მენოპაუზა, მსტროპაუზა და ოსტეოპოროზი

მდედრობითი სქესის პირთა შორის ოსტეოპოროზის უფრო მაღალ სიხშირეს განაპირობებს მენოპაუზის შემდეგ ესტროგენების შემცველობის დაქვეითება. ესტროგენი ქალის ორგანიზმს ეხმარება ძვლის ნორმალური მინერალური სიმკვრივის შენარჩუნებაში. მენოპაუზის შემდეგ, პირველი 10 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად ქალი ძვლის მასის 4%-ს კარგავს.

ოსტეოპოროზის რისკ-ფაქტორები

არსებობს ოსტეოპოროზის ისეთი რისკ-ფაქტორები, რომელთა კონტროლიც შეუძლებელია. ესენია: მდედრობითი სქესი; ეთნიკური კუთვნილება - კავკასიელი ან აზიელი; ოჯახური ისტორია.

ცნობილია ის რისკ-ფაქტორებიც, რომელთა არიდებაც საკლებით შესაძლებელია. ესენია:

თამბაქოს წევა; ცხოვრების მჯდომარე წესი; საკვებ რაციონში კალციუმის დეფიციტი; ცუდი კვება; ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება. გარდა ამისა ოსტეოპოროზის რისკფაქტორებია:

ესტროგენების დაბალი დონე; დ ვიტამინის დეფიციტი; ჰიპერტიროზი - ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მომატება; სხვადასხვა მიზეზით მოძრაობის უნარის დაკარგვა; ქრონიკული, კორტიკოსტეროიდები, კრუნჩხვის საწინააღმდეგო მედიკამენტები; ჰიპერპარათირეოზი - ფარისებრძალ ჯირკვლების ფუნქციის მომატება; მენსტრუალური ციკლის არარსებობა; საჭმლის მომწეველ სისტემაში საკვების შეწვის დაქვეითება.

როგორ დავინახოთ ოსტეოპოროზის დაავადება უხშირესად ოსტეოპოროზი მოტყევილობით?

ბის გამო გადაღებულ რენტგენოგრაფიაზე ვლინდება, თუმცა ამ შემთხვევაში ძვლის მინერალური სიმკვრივე უკვე მნიშვნელოვნადაა დაქვეითებული. სკრინინგის ანუ კლინიკური ნიშნების (ოსტეოპოროზის შემთხვევაში - მოტყევილობის) გამოვლინებამდე დაავადების დიაგნოზის დასადგენად ტარდება დულ ენერგიული რენტგენოლოგიური აბცორბციომეტრია - DEXA კვლევა. ამ კვლევით შესაძლებელია გამოვლინდეს არა მარტო ოსტეოპოროზი, არამედ ოსტეოპენიაც - მდგომარეობა, რომელიც ოსტეოპოროზის წინაპირობაა.

ვის უნდა ჩავატარებთ დულ ენერგიული რენტგენოლოგიური აბსორბციომეტრია?

ამერიკული რეკომენდაციის თანახმად, კვლევა ოსტეოპოროზის სკრინინგისთვის უნდა ჩატარდეს: 65 წლის ან მეტი ასაკის ყველა ქალს; ოსტეოპოროზის რისკფაქტორების არსებობისას ქალებს მენოპაუზის პერიოდში 65 წლის ასაკამდეც; ქალებს მენოპაუზის შემდგომ მოტყევილობის შემთხვევაში; ქალებს, რომელთაც აქვს ოსტეოპოროზის გამოწვევი დაავადებები.

როგორ ვასწავთ რენტგენოლოგიური აბსორბციომეტრია?

რენტგენოლოგიური აბსორბციომეტრია ანუ DEXA კვლევის შედეგად მიღებული შედეგი გამოხატულია ე. წ. T score მაჩვენებლებით. ეს არის პაციენტის ძვლის მინერალური სიმკვრივის სტატისტიკური შედეგები იმავე სქესისა და ეთნიკური კუთვნილების ჯანმრთელი ახალგაზრდების ძვლის მინერალურ სიმკვრივესთან.

T score - 1 დან 2.5-მდე შესაბამება ოსტეოპენიას - ოსტეოპოროზის წინა მდგომარეობას;

T score - 2.5 და ნაკლები ოსტეოპოროზის მაჩვენებელია.

შესაძლებელია თუ არა ოსტეოპოროზისაგან დაცვა?

სამწუხაროდ, სადღეისოდ ოსტეოპოროზისაგან განკურნება შეუძლებელია. დღეს არსებული მკურნალობა აჩერებს ძვლის მინერალური სიმკვრივის შემდგომ დაქვეითებას. აღნიშნულის გამო ძალზე მნიშვნელოვანია ოსტეოპოროზის პრევენცია ანუ პროფილაქტიკა.

როგორ ავიხილოთ ოსტეოპოროზი ვარჯიში

ფიზიკური აქტივობა და ვარჯიში გვეხმარება კუნთების გაძლიერებაში, სხეულის ბალანსის (წონასწორობის) დაცვაში, რაც ამცირებს დაცემას და სხეულის დაზიანებას. რასაკვირველია, ვარჯიშის თაობაზე აუცილებელია შეთანხმება ექიმთან.

ვივარჯიშოთ ფრიხილად!

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ოსტეოპოროზის დროს მცირედი დატვირთვაც კი შეიძლება მოტყევილობის მიზეზი გახდეს. ამიტომ უმნიშვნელოვანესია ვარჯიშის გეგმა ექიმთან შეთანხმდეს. ამავე დროს გასათვალისწინებელია ჯანმრთელობის საზოგადო მდგომარეობა. ექსტრემალური დატვირთვა, მაგალითად, მარათონული რბენა, არ არის რეკომენდებული ოსტეოპოროზის დროს. მოტყევილობის რისკის დასაქვეითებლად შესაძლებელია სახსრებისა და ძვლების დამცველი სპეციალური მონაცემების გამოყენება.

თავად ვაჩვენებთ ოსტეოპოროზის დაავადებას

დადასტურებულია თამბაქოს უარყოფითი გავლენა ძვლებზე. მონევა ხელს უწყობს ოსტეოპოროზის პროგრესირებას, ქალებში ამცირებს ესტროგენების შემცველობას, იწვევს ნაადრევ მენოპაუზას. ალკოჰოლისა და კოფეინის ზეგავლენა ოსტეოპოროზზე ბოლომდე ნათელი არ არის, თუმცა ცნობილია, რომ ჯანმრთელობისათვის ოპტიმალურია მათი მხოლოდ ზომიერი მიღება.

კალციუმი

სიახლე არ არის, რომ კალციუმი მნიშვნელოვანია ძვლების სიძლიერისა და ჯანმრთელობისათვის. განსაკუთრებული როლი ენიჭება კალციუმის სათანადო მიღებას ცხოვრების ადრეულ ეტაპზე.

მოზრდილებისა და მდედრობითი სქესის მოზარდებისათვის რეკომენდებულია დღეში 1000-1300 მგ კალციუმის მიღება. კალციუმის საუკეთესო წყაროა რძის პროდუქტები, ბოსტნეული (კომბოსტო, ბროკოლი, ისპანახი) და კალციუმით გამდიდრებული საკვები. მენოპაუზის შემდგომ კალციუმის მიღება უნდა გაიზარდოს.

D ვიტამინი

ოსტეოპოროზის პროფილაქტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია D ვიტამინიც. მისი ეფექტებია: ნაწლავებიდან საკვებში არსებული კალციუმის შეწოვა; ოსტეომალაციის (ძვლების დარბილება) პროფილაქტიკა; ძვლების მინერალური სიმკვრივის ზრდა და მენოპაუზის შემდგომ პერიოდში მოტყევილობის რისკის შემცირება. 1-დან 70 წლამდე პირთათვის D ვიტამინის რეკომენდებული დოზაა 600 საერთაშორისო ერთეული. 1 წლამდე ეს მაჩვენებელი არის 400 სე, ხოლო 70 წლის შემდეგ - 800 სე. D ვიტამინის საუკეთესო წყაროა მზის სხივები, ცხიმინი თევზი, საქონლის ღვიძლი, კვერცხის ყვითი, D ვიტამინით გამდიდრებული საკვები.

პროფილაქტიკის მნიშვნელოვანი პარამეტრი

რადგანაც ესტროგენებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ ძვლის მინერალური სიმკვრივის შენარჩუნების თვალსაზრისით, მრავალ ქალს მენოპაუზის ასაკში ენიშნება ჰორმონული პრეპარატები - ტარდება ჩანაცვლებითი თერაპია ესტროგენული ჰორმონებით. ეს ამცირებს ძვლის მინერალური სიმკვრივის დაქვეითებასა და მოტყევილობის რისკს.

ანალოგიური მკურნალობა მხოლოდ პაციენტის სათანადო გამოკვლევის შემდეგ შეიძლება დანიშნოს ექიმმა. რასაკვირველია, გასათვალისწინებელია შესაძლო გვერდითი ეფექტები.

ოსტეოპოროზის საზოგადოებრივი მნიშვნელობა

ოსტეოპოროზის სამკურნალოდ შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის მედიკამენტის გამოყენება, ესენია: ძვლის რეზორბციის საწინააღმდეგო საშუალებები - ისინი აფერხებენ ძვლის მინერალური სიმკვრივის დაქვეითებას, ხელს უწყობენ ამ მაჩვენებლის მატებას;

ესტროგენები - მათ შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ; ესტროგენების რეცეპტორების სელექციური მოდულატორები - ისინი ესტროგენების მსგავსად მოქმედებენ; ანაბოლური საშუალებები.

მომზადდა

საითუნა ბენაშვილმა

მკვლევარებში ბრალდებულის მამა მონაწილეობს ზენოლის გამო დააკავეს

ზემო მაჩხანელი ბიჭის მკვლელობის საქმეზე აჭარაში ბრალდებულის მამა დააკავეს. როგორც გაზეთ „შირაქს“ პროკურატურაში განუცხადეს, ბრალდებულ ალექსანდრე ბაჟუნაიშვილის მამა, გიორგი ბაჟუნაიშვილი, მონაწილეობს ზემოქმედებას და შანტაჟს ახორციელებდა. ასევე მონაწილეობს ცრუ ჩვენების მიცემას აიძულებდა. აღსანიშნავია, რომ ბრალდებული ალექსანდრე ბაჟუნაიშვილი მიმალვაში იმყოფება. მკვლელობის საქმეზე კიდევ სამი პირია დაკავებული.

სუფრის სხვა წევრებს ლუკა ჯიბლაძესა და დავით მენაბდეს მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა ბრალდებათ, ხოლო ალექსანდრე ახვლედიანს დანაშაულში თანამონაწილეობა. ახვლედიანი ბაჟუნაიშვილს გვამის დამარხვაში ეხმარებოდა. ისინი პოლიციაში გვამის პოვნისთანავე დააკავეს. დაკავებულები სასამართლო პროცესზე ამბობდნენ, რომ დანაშაუ-

ლი ზენოლის გამო დაფარეს. დაკარგულის ოჯახსა და გამოძიებას კი მიზანმიმართულად მიანოდეს მცდარი ინფორმაცია, თითქოს ქეიფის შემდეგ გიორგი გვიან ღამით ნითელი ტაქსით გააცივლეს.

„დაკავებული ყველანაირად ცდილობდა თვითმხილველებს პოლიციისთვის არ ეთქვათ სიმართლე და თავად სთავაზობდა ვერსიებს, თუ რა განემარტათ მომხდარის შესახებ და როგორ მოეშორებინათ ცხედარი,“ - აცხადებს პროკურორი.

2 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულის მამას ალკეითი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. გადანაცვლებული ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო სახელაშვილმა მიიღო.

20 წლის გიორგი ალხანაიშვილი, რომელიც ბათუმში დედასთან სტუმრად იმყოფებოდა, მისივე ბავშვობის მეგობრებმა საქეიფოდ ქობულეთში 16 მაისს წაიყვანეს. ბიჭი სწორედ

ბაჟუნაიშვილების სახლიდან გაუჩინარდა, ათდღიანი ძებნის შემდეგ კი მეზობელ სოფელში დამარხული იპოვნეს. პოლიციაში შეტყობინების შესვლამდე დაკავებულის შვილმა ქვეყნის დატოვება და დიდ ბრიტანეთში გაპარვა მოახსრო, სწორედ მას ბრალდება თანაკლასელის ცივი იარაღით დაჭრა, რის შედეგადაც ალხანაიშვილი ადგილზე გარდაიცვალა.

მოკლული და სუფრაზე მყოფი ახალგაზრდები დაწყებით კლასებში ბათუმის სკოლაში ერთად სწავლობდნენ, შემდეგ კი ალხანაიშვილი დედოფლისწყაროს სოფელ ზემო მაჩხანის სკოლაში გადაიყვანეს. ორი წლის წინ მან ზემო მაჩხანის სკოლა დაამთავრა და პერიოდულად დედასთან ბათუმში ჩადიოდა.



გაქცეულ დამნაშავეს პროკურატურამ ბრალი დაუსწრებლად წარუდგინა. მას ნითელი ცირკულარი ექებენ. გაზეთ „შირაქსი“ ინფორმაციით, მორიგი სასამართლო სხდომა 18 ივლისსაა დანიშნული, სწორედ მაშინ გაირკვევა, რამდენ წელს მიუსჯიან თანაკლასელის მკვლელს და მოხერხდება თუ არა საზღვარგარეთ მისი დაკავება და სამშობლოში ექსტრადირება

ილია მარტყოფლიშვილი

საქართველოს ჩემპიონები კიკბოქსინგში

2023 წლის საქართველოს ჩემპიონატი კიკბოქსინგში დედოფლისწყაროს გუნდი „ჩემპიონისთვის“ წარმატებული გამოდგა. სპორტსმენებმა მოიპოვეს 12 საპრიზო ადგილი, აქედან 6 ოქროს, 4 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი.

- ადგილი:
- გიორგი ქადაგიშვილი;**
 - გიორგი ჯამასიშვილი;**
 - სოსო ჯავახიშვილი;**
 - გიორგი გულაშვილი;**
 - ლევანი ნიკლაური;**
 - თაიშა ფიროსმანაშვილი.**
- მეორე ადგილი: გიორგი ბაღდასარიანი; ნიკა თარაღაშვილი; ბექა ნაროზაულო; ილია ხატიაშვილი; მისამა აბდოლი; ლაშა ჭუბაბია; ლუკა ტუმანიანი.
- თამაზ ყარაგვიჩაშვილი** (მწვრთნელი): „სენაკში 30-ე საუბილეო ჩემპიონატზე გამორჩეულად იასპარეზა გიორგი ქადაგიშვილმა, რომელიც სოფელ მალაროდან ყოველდღე მარშუტით მოდის

და გვაოცებს თავისი მონდომებით დაძაბული და დინამიური ბრძოლა ჩაატარა სოსო ჯავახიშვილმა, ჩვეულ მაღალ ტემპში. ყველა რაუნდში სძლია ბათუმის გუნდის ლიდერს. ქების ღირსია გიორგი ჯამასიშვილი, ყველა ორთაბრძოლა გამორჩეულად ლამაზად ჩაატარა. ძლიერი დარტყმებით. ასევე გამორჩეულად ლამაზი იყო ლევან ნიკლაურის გამოხატვა.

გიორგი გულაშვილი: „მარნეულელ მეტოქეს შევხვდი, ბრძოლა ნორმალურად მიმდინარეობდა. ამ ჩემპიონატისთვის დიდხანს ვემზადებოდი. ამიტომ, ჩემი მზაობიდან გამომდინარე მისი დამარცხება დიდად არ გამჭირვებია, ჩემი დახვეწილი ტექნიკის და სიძლიერის ხარჯზე შევძელი შეხვედრის მოგება. მანამდე კალათბურთზე დავდიოდი. 15 წლის ვიყავი, როცა ამ გუნდში შევედი. ჩემი მეგობრები დადიოდნენ და დამაინტერესა. შემდეგ ეს სპორტი ძალიან მომეწონა. არაბარტო ეს სახეობა, არამედ იქ მყოფი ადამიანების ურთიერ-

ობა. „ჩემპიონი“ გამორჩეულია გუნდურობით, კარგი და თბილი ურთიერთობებით, ჩვენ ყველა ერთი დიდი ოჯახი ვართ. ეს სპორტი მომწონს, კრივი ჩემი ჰობია და, რა თქმა უნდა, წარმატების მიღწევა ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს. მიზნების მისაღწევად მაქსიმალურს ვაკეთებ. დღემდე 2-ჯერ დილა-საღამოს ვარჯიში. რა თქმა უნდა, შეჯიბრის დროს ყველა სპორტსმენისთვის რთულია წონის კლება, ამ დროს დიდი ენერჯია იკარგება. ენერჯია კი, მოგესხენებათ, საბრძოლველად ძალიან მნიშვნელოვანია. ორჯერ მაქვს წაგებული და გული არ ამიძრუვებია, პირიქით, უფრო მეტი მივარჯიშია, სტიმული მქონია, რომ შემდეგ ვერვც გამარჯვება მეზებოდა. ჩვენს მწვრთნელზე იმის თქმა შემიძლია, რომ ძალიან ყურადღებიანია, თბილია ყველას მი-



მართ. გვასწავლის, როგორ გავხდეთ უკეთესები და ყოველთვის დავდით უფრო მეტი შედეგი. გვასწავლის ერთმანეთის ურთიერთაპირისმართებას და გვიყალიბებს სხვა ადამიანურ თვისებებსაც, რაც პიროვნულად ძალიან გვზრდის“.

ილია მარტყოფლიშვილი

„ბრძოლა უმაღლესი შედეგებისთვის“

2023 წლის 13 მაისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდში და ნოლჭიმში, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა რეგიონის თორმეტი გუნდის 88 სპორტსმენმა. გამარჯვებულები და პრიზიორები წონითი კატეგორიების მიხედვით დაჯილდოვდნენ მედალებით და სიგელებით.

საერთო გუნდური ჩათვლაში ძალისმიერ სამჭიდში პირველ ადგილზე გავიდა დედოფლისწყაროს გუნდი, მწვრთნელი - მიხეილ სეხნიაშვილი, მეორე ადგილზე თბილისის „როიალ ფიტნესის“ გუნდი, მწვრთნელი - თემურ გოგოლაძე, ხოლო მესამე ადგილზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, მწვრთნელი - ზურაბ ჭავჭავაძე. ნოლჭიმში საერთო გუნდური ჩათვლაში გაიმარჯვა ქ. თელავის გუნდმა - მწვრთნელი ზურაბ ძამუკაშვილი, მეორე ადგილზე გავიდა ქ. კასპის გუნდი, მწვრთნელი - გაა მერებაშვილი, ხოლო მესამე ადგილზე ქ. რუსთავის გუნდი მწვრთნელი - გიგი თეთრაძე.

შეჯიბრების შედეგების მიხედვით ასევე გამოვლინდნენ ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატები ესენი არიან:

- ანდრია მიქაუტაძე - ძალიმიერ სამჭიდში, ჭაბუკები 53 კგ წონითი კატეგორია, თბილისის სპორტკლუბი „პაუერლაფტინგი“ მწვრთნელი რუბენ ქარქუთაშვილი;
- გიორგი გელაშვილი - ძალისმიერ სამჭიდში, ჭაბუკები 59 კგ წონითი კატეგორია, რუსთავის სპორტკლუბი „ჩემპიონები“ მწვრთნელი - გიგი თეთრაძე;
- მჭედლიშვილი დავითი - ნოლჭიმში, ჭაბუკები 59 კგ წონითი კატეგორია, თელავი, მწვრთნელი ზურაბ ძამუკაშვილი;
- საბა ბერძენი - ძალისმიერ სამჭიდში, ჭაბუკები 59 კგ წონითი კატეგორია, თბილისის კლუბი „ისტაიდ ბარბელ“, მწვრთნელი ნუგზარ დავითიური;
- ზუკა ლვინიანიძე - ნოლჭიმში, ჭაბუკები, 66 კგ წონითი კატეგორია, რუსთავის სპორტკლუბი „ჩემპიონები“ მწვრთნელი - გიგი თეთრაძე;
- სვიჩა მჭედლიშვილი - ნოლჭიმში, ახალგაზრდები, 93 კგ წონითი კატეგორია,

თბილისის კლუბი „ისტაიდ ბარბელ“, მწვრთნელი ნუგზარ დავითიური; განაცხადა საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ელგუჯა კვიციანიამ.

„13 მაისს დედოფლისწყაროში ჩატარდა საქართველოს პირველობა ძალისმიერ სამჭიდში და ნოლჭიმში 14/19 და 20/23 ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის. საქართველოს მასშტაბით მონაწილეობა მიიღო 14 გუნდმა. დედოფლისწყაროს გუნდი 11 სპორტსმენით ორივე კატეგორიაში გამოვიდა, შესაბამისად 5 სპორტსმენი ძალისმიერ სამჭიდში და 6 სპორტსმენი ნოლჭიმის დისციპლინაში. მიუხედავად ძველი ლეგიონერების (ვარდიშვილი თედო-74 კგ, ზუბიაშვილი მიშკო -74 კგ. და სხვა.) არ ყოფნის გამო გუნდი დასუსტებული იყო, მაინც შევძელით და ავიღეთ გუნდური 1-ლი ადგილი ძალისმიერ სამჭიდში. სამი პირველი ადგილი და ერთი მეორე ადგილი. საქართველოს ჩემპიონები გახდნენ - **პაპაშვილი გიორგი-74 კგ., მამუკაშვილი ლუკა-83 კგ. და ბაირამ ბაირამოვი-59 კგ. მეორე ადგილი - ნუკრი ქოზაშვილი-74 კგ.** შეჯიბრი მძიმე და მომქანცველი გამოდგა ახალბედა სპორტსმენებისთვის და ნოლჭიმის სახეობაში ვერ მივიღეთ სასურველი შედეგები. ბიჭები გადაღლილები გამოვიდნენ და თავისი შესაძლებლობების მინიმალური ნორმების დაფიქსირება შეძლეს მხოლოდ. **ნოლჭიმში გუნდმა ერთი მეორე ადგილი-ქოზაშვილი ნუკრი-74 კგ. და ერთი მესამე ადგილი მოიპოვა-ტუმანიანი ლადო-74 კგ. სულ მოვიპოვეთ -3 პირველი - 2 მეორე და 1 მესამე ადგილები.**

ჩვენ გუნდს გაცილებით მეტი შეუძლია და მომდევნო შეჯიბრებებისთვის, რომლებიც გაიმართება 24 ივნისს სიღნაღში ნოლჭიმის დისციპლინაში და 27 ივლისს დედოფლისწყაროში ძალისმიერ სამჭიდში (კახეთის პირველობა), შევეცდებით უფრო მაღალი შედეგები დავდეთ. დიდ მადლობას ვუხდით საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციას და დედოფლისწყაროს სპორტის ცენტრის ხელმძღვანელობას და ყველა მონაწილეს ამ ლამაზი შეჯიბრის ორგანიზებისთვის“ - განაცხადა დედოფლისწყაროს გუნდის მწვრთნელმა **მიხეილ სეხნიაშვილმა**.

სათუნა ბანაშვილი

ულოცავენ!

ფატი ზურაშვილს!



ჩვენო ძვირფასო და ამავანო, გულწრფელად გილოცავთ დაბადების 83 წლისთავს. მართალია, ამ ბოლო დროს ჯანმრთელობა გლალატობს, მაგრამ დიდი იმედი ხარ ჩვენი.

მანი და, ლუიზა ზურაშვილი, დისპვილია: თამაზი, ზურაბი, ნალი ქანაქაძეები ოჯახებით, დისპვილია: ვასიკო ჯამოღნიშვილი, ნია, მარი ტუსაშვილია ოჯახებით, პარპარა ტუსაშვილი ***

ჩვენო ალალ-მართალო მეზობელო, გილოცავთ, დაბადების 83 წლისთავს. იყავი ჯანმრთელი.

ქ. დედოფლისწყაროს ირ. ავღოშვილის ქუჩის მაცხოვრებლები

ჩვენო საყვარელო მეგობარო, დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების 83 წლისთავს. შენ უდავოდ იმსახურებ ჩვენს პატივისცემას.

მანანა შანაშვილი, მზია გონაშვილი, ცაცა სარალიძე

ჩვენო მონატრებულო ფატი, 3 წელია ავადმყოფობის გამო ვეღარ მოდიხარ სათნოების სახლ „სავანეში“. მოგონებად დაგვრჩა შენი სიმღერები და ომახიანი ხმა. გილოცავთ დაბადების 83 წლისთავს და გისურვებთ უამრავ სიხარულს.

პატივისცემით, დედოფლისწყაროს სათნოების სახლ „სავანე“ ბანაშვილი

ფატი, ძვირფასო, დაბადების დღეს გილოცავთ და გეფერებით, როგორც ჩვენს უფროს მეგობარს, რომელიც მხნეობის, სიკეთის, სიყვარულის და გულწრფელობის მაგალითს გვაძლევს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე წელია, ავადმყოფობამ ლოგინს მიგაჯაჭვა. დაქვეითებული მხედველობითაც კი ისე ეფერები ადამიანებს, ბევრ თვალხილულს შემურდება. საოცარია, შენს ადგილზე ბევრი გაბოროტდებოდა, აგრესიული გახდებოდა, შენ კი სითბოს და სიყვარულს აფრქვევ ირგვლივ და კეთილშობილების, ურთიერთსიყვარულის და პატივისცემის ეტალონი ხარ. იცოცხლე და გაიხარე შენს ახლობლებთან და უამრავ მეგობარსა თუ გულშემატიკვართან ერთად. უფალი იყოს შენი მფარველი!

პატივისცემით, ნაირა გორაშვილი, გულმ ალადაშვილი, ნანა მჭადლიშვილი

გვანცა მაზიაშვილს!



ჩემო ლამაზო, ჭკვიანო გოგო, გილოცავ სკოლის წარმატებით-ოქროს მედალზე დამთავრებას. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს ბედნიერ ცხოვრებას და უღრეს წარმატებას, რაც მჯერა რომ იქნება. ეს პირობები წარმატება საწინდარი იყოს მომდევნო წარმატებებისა. ღმერთი იყოს შენი მფარველი. ყველა ჩანაფიქრი შეგსრულდებოდეს, შენი საავალი გზა ბედნიერი და უფლისგან დალოცვილი იყოს. მინდა მადლობა გადავუხადო შენს პედაგოგებს, რომელთა დიდი შრომის შედეგია შენი წარმატება. მადლობას ვუხდით სოფელ ზემო ქედის №1 საჯარო სკოლის დირექტორს ბატონ დავით სე-თურს, კლასის ხელმძღვანელს ქალბატონ ქეთევან ბუბუნი-აურს და მთელ პედაგოგიკურ კოლექტივს, რომელთა უდიდესი შრომისა და დიდი პროფესიონალიზმის შედეგია ჩემი გვანცას წარმატება. დარწმუნებული ვარ მათაც ისევე უხარიათ მისი წარმატება, როგორც მე.

შენი ბებო, დალი სვარიძე

იყიდება!
 იყიდება სახლი სოფელ ზემო მარხაანში არმათიონის ეკლესიასთან. 600 კვ.მ, მიმდებარე ფართობით და ბაღით, 135 კვ.მ საცხოვრებელი ფართით, ორი სარდაფით - საერთო ფართობით 60 კვ.მ. აგრეთვე, 40 კვ.მ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობით. ფასი შეთანხმებით. ☎ 555 39 07 56; 568 150 25

ამინდი		დედოფლისწყარო		საბურთაბო		საბურთაბო		საბურთაბო		საბურთაბო	
ორშაბათი 12.06	სამშაბათი 13.06	ორშაბათი 14.06	სამშაბათი 15.06	პარასკევი 16.06	შაბათი 17.06	კვირა 18.06	ორშაბათი 19.06	სამშაბათი 20.06	ორშაბათი 21.06	სამშაბათი 22.06	სამშაბათი 23.06
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
☀	☁	☁	☁	☁	☁	☁	☁	☁	☁	☁	☁
29°	17°	28°	17°	27°	15°	26°	15°	25°	15°	27°	16°

გამომცემელი შპს „ნიკაპი“
 დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
 რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ხანაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მწვერევი); სათუნა ბანაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მწვერევი); მზია ქანაქაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, № 6 014-468.
გაზეთის გამომწერა წელიწადში - 20 ლარი